სიბა

№2(182)
თებერვალი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

ღვთისმშობლის ქანდაკება
ფერიქოის სავანეში

პრეზეპე ბათუმის სულიწმიდის ეკლესიაში



საქართველოს პრეზიდენტი კათოლიკეებთან შობაზე

ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის

ნათლობა ოზურგეთში

საშობაო კონცერტი ქუთაისის
ბავშვთა ცენტრში

ნიკოლოზობა ახალციხის
„ახალგაზრდა ინვალიდთა ცენტრში“

უკეთესი ცხოვრებისათვის

მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო საბჭოთა იმპერიალიზმის ჩრდილქვეშ იყო მოქცეული, 1978 წლის ივნისში, ა. სოლჟენიცინი, ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოთქვამს დაუვიწყარ სიტყვას, სადაც მკაცრად გმობს დასავლეთის უმწეობას „რეალური სოციალიზმის“ წინაშე. რუსი დისიდენტი ააშკარავებდა იმ ძირეულ შეცდომას, რაც „დასავლეთში სამყაროს შესახებ გავრცელებულ კონცეფციაში იდო, რომელიც აღორძინების ხანაში ჩაისახა და ილუმინიზმიდან პოლიტიკური ფორმები შეიძინა... ამას შეიძლება რაციონალისტური ჰუმანიზმი, ან ჰუმანისტური ავტონომია ეწოდოს, რადგანაც ნებისმიერი ძალის გამოყენებით აცხადებს და ხელს უწყობს ადამიანის ავტონომიას, ან სულაც შეიძლება ეწოდოს ანთროპოცენტრიზმი, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის უმაღლესი არსება, ღვთის მიერ შექმნილი, იგი წარმოადგენს სამყაროს ცენტრსა და საბოლოო მიზანს“. ამგვარმა კონცეფციამ, სოლჟენიცინის აზრით, „თანამედროვე დასავლური საზოგადოების საფუძველშივე ჩადო საშიში ტენდენცია, რაც გამოიხატება ადამიანისა და მისი მატერიალური საჭიროებების მიმართ ქედის მოხრაში. მატერიალური კეთილდღეობისა და ქონების მოხვეჭის გარდა, ყველა დანარჩენი წვრილმანი, ყველა დანარჩენი საჭიროება, მეტნაკლებად ამაღლებული, სახელმწიფო სისტემებისა და სოციალური სტრუქტურების მიერ მხედველობაში არაა მიღებული, თითქოსდა ადამიანს არ გააჩნდეს სხვა კეთილშობილური დანიშნულება ამ ცხოვრებაში... და ასე დაისადგურა ამ სტრუქტურებში საშიშმა სიცარიელემ, რისი წყალობითაც დღეს თავისუფლად პარპაშებს ბოროტება“. სოლჟენიცინის აზრით, კომუნიზმი თანამედროვე ჰუმანიზმის ყველაზე რადიკალური და ადექვატური ფორმა იყო. „კარლ მარქსმა შეძლო, ეთქვა (1844 წ.): „კომუნიზმი არის ნატურალიზებული ჰუმანიზმი“. ის, რაც აქტუალური კრიზისიდან გვაშინებს, რუსი მოაზროვნის აზრით, თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს დაკარგვაა. „აღმოსავლეთში მას პარტიის ბაზარი თელავს, ხოლო დასავლეთში კომერციული ბაზრობა... თუკი ადამიანი დაიბადა, როგორც ამას ჰუმანიზმი მიიჩნევს, ის მხოლოდ ბედნიერებისთვის იშვა და არა სიკვდილისთვის. მაგრამ, რადგანაც ადამიანი ხორციელად სიკვდილისთვის არის განწირული, მისი მისია ამ ქვეყანაზე უსათუოდ უნდა იყოს სულიერი: არა ყოველდღიური ღორმუცელობით, არა ქონების მოხვეჭის მცდელობით, და მერე უგუნური ფლანგვით, არამედ მძიმე და მუდმივი მოვალეობის შესრულებით, ჩვენი ცხოვრების გზა, უწინარესად, უნდა იქცეს მორალურ აღმართად, სადაც, გზის დასასრულს, წარმოუდგენლად სულიერად ამაღლებულ ქმნილებად წარვდგებით. ცხადია, უნდა გადავხედოთ საყოველთაოდ მიღებულ ფასეულობათა შკალას და გავოცდეთ ჩვენი არაადექვატურობითა და ცდომილებით“.

ცნობილი ჩილელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1971წ) პაბლო ნერუდა (1904-1973) შემდეგს წერდა; „ნელ-ნელა კვდება ის, ვინც ჩვევების მონა ხდება, ყოველდღიურად ერთსა და იმავე გზას თელავს და რისკზე არ მიდის. ნელ-ნელა კვდება ის, ვინც თავს არიდებს განცდებს ან ემოციებს, გრძნობებს, რომლებიც თვალებს აელვარებენ, ღიმილს გვრიან, გულს აჩქარებენ. ნელ-ნელა კვდება ის, ვინც არ ცდილობს, თავდაჯერებულობა უკუაგდოს, რათა მიეცეს ოცნებას, მშვიდობიან ოცნებას. ნელ-ნელა კვდება ის, ვინც საკუთარ სიყვარულს ანადგურებს, ვინც დახმარებაზე უარს ამბობს, ვინც გამუდმებით საკუთარი უიღბლობის გამო წუწუნებს. ნელ-ნელა კვდება ის, ვინც დასაწყისშივე უარს იტყვის დასახულ მიზანზე... ცოტათი მაინც თავს ავარიდებთ ნელ-ნელა სიკვდილს, თუკი გვეხსომება, რომ სიცოცხლე იმაზე მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ეს, უბრალოდ, სუნთქვაა“.

ჯეინ დებრაინის სიტყვებით კი: „გისურვებ, ისე იცხოვრო, რომ ფულმა არ მოგისყიდოს; გისურვებ, ისე იცხოვრო, რომ გერქვას მხოლოდ ადამიანის სახელი; გისურვებ, ისე იცხოვრო, რომ არავინ გაიხადო მსხვერპლად; გისურვებ, ისე იცხოვრო, რომ ეჭვებისა და ქილიკისგან თავი შეიკავო; გისურვებ, ისეთ სამყაროში გეცხოვროს, სადაც ყველას ექნება უფლება, მოძმედ და მოყვასად გექცეს“.

აი, პატარ-პატარა რჩევები, რომელიც ამოღებულია პაპი იოანე XXIII-ის (1881-1963) „ყოველდღიურობის დეკალოგიდან“:

„დღეს მხოლოდ იმას შევეცდები, ისე ვიცხოვრო, რომ არ მოვინდომო მთელი ჩემი პრობლემების ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა; მხოლოდ დღეს ვიზრუნებ ჩემს გარეგნობაზე: ჩავიცვამ სადად, ხმას არ ავუწევ, ვიქნები თავაზიანი, არავის გავაკრიტიკებ, გარდა ჩემი თავისა, არავის გამოსწორებას ან გაუმჯობესებას არ შევეცდები; მხოლოდ დღეს გავიხარებ იმის შეგნებით, რომ ბედნიერებისთვის ვარ გაჩენილი, არა მარტო სხვა სამყაროში, არამედ აქაც; მხოლოდ დღეს ვიმოქმედებ გარემოების შესაბამისად, და არ მოვინდომებ, რომ გარემოება მოერგოს ჩემს სურვილებს; მხოლოდ დღეს დავუთმობ ათ წუთს სიჩუმეში ღმრთის მოსმენას და გავიხსენებ, რომ როგორც საკვებია სხეულისთვის აუცილებელი, ასევე აუცილებელია სულისთვის — სიჩუმე და ღვთის მოსმენა; მხოლოდ დღეს დავთესავ სიკეთეს და არავის გავუმხელ ამის შესახებ; მხოლოდ დღეს შევადგენ გეგმას, რომელსაც, შეიძლება სავსებით არა, მაგრამ მაინც შევასრულებ; მხოლოდ დღეს შევიცნობ მთელი გულით, გარეგნული ნიშნების მიუხედავად, რომ შემოქმედი ჩემზე ისე ზრუნავს, როგორც სხვა არავიზე; მხოლოდ დღეს არ შემეშინდება, დავტკბე მშვენიერებით და მწამდეს სიყვარულის.

თავისუფლად შემიძლია, 12 საათის განმავლობაში გავაკეთო ის, რაზე ფიქრიც კი შემაძრწუნებდა, თუკი ეს მთელი ცხოვრება უნდა მეკეთებინა“.

უნებურად შემოდიან ეს რჩევები ჩვენს ცხოვრებაში და, ღვთისმშობლის მზრუნველ კალთას შეფარებულნი, შევთხოვთ მას მამა გრანდმაისონის ამ ლოცვით:

„წმიდაო მარიამ, დედაო ღვთისაო, შემინარჩუნე ბავშვივით სუფთა და წყაროსავით კამკამა გული, სათნო გული, რომელიც არ დანებდება სევდას და ნაღველს, მოწყალე გული ძღვენის გასაცემად: ნაზი გრძნობებით სავსე გული, ერთგული და ღია, რომელიც სიკეთეს არ დაივიწყებს და ცუდს არ გაიკარებს. შეჰქმენი ჩემში სათნო და მდაბალი გული, რომელსაც შეუძლია სიყვარული და სხვა გულებისთვის მისი გაზიარება, რათა ასე სწირავდეს მსხვერპლს შენი ღვთიური ძის წინაშე. ამინ“.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

გამოცხადებული ტერაქტის ქრონიკა

გასული წლის 31 ოქტომბერს ალ ქაედამ განაცხადა, რომ პასუხისმგებლობას იღებს ბაღდადის კათოლიკურ ტაძარზე თავდასხმაზე და აძლევს „ეგვიპტის ეკლესიას 48 საათს, რათა გაათავისუფლოს მონასტრის ტყვეობიდან ჩვენი მუსლიმი დები და მას-მედიის საშუალებებით გაავრცელოს ინფორმაცია მათი გათავისუფლების შესახებ“. საუბარი იყო კოპტი მღვდლების მეუღლეებზე, კამელია შეჰათასა და ვათა კონსტანტინეზე. ტერორისტების განცხადებით, მას შემდეგ, რაც ამ ორმა ქალბატონმა ისლამი მიიღო, ისინი მონასტრებში გამოკეტეს და არაფერია ცნობილი მათი მდგომარეობის შესახებ. ეკლესიის წარმომადგენლთა განცხადებით, ეს ინფორმაცია მცდარია, კამელია შეჰათასა და ვათა კონსტანტინეს აღმსარებლობა არ შეუცვლიათ და მონასტერში საკუთარი გადაწყვეტილებით ცხოვრობენ.

2 დეკემბერს ალ ქაედას ვებგვერდზე Shumukh al-Islam გამოქვეყნდა ეგვიპტის, საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის კოპტთა ტაძრების სია და მოწოდება, რომელშიც ნათქვამია: „გაიღვიძეთ და იფხიზლეთ! ყოველი მუსლიმი, რომელსაც ჩვენი დების ღირსება აღელვებს, თავს უნდა დაესხას მათ. შობას, როდესაც ერთად შეიყრებიან“.

ალექსანდრიის კოპტურ ტაძართან აფეთქების ხმა გამოცხადებულ ვადაზე ერთი კვირით ადრე, 1 იანვრის ღამეს, 00 საათსა და 30 წუთზე გაისმა. ღმრთისმსახურება ახალი დამთავრებული იყო და მორწმუნეები ეკლესიიდან გამოდიოდნენ. აფეთქებამ 23 ადამიანი იმსხვერპლა. ასზე მეტი მორწმუნე მძიმედ დაშავდა. პასუხისმგებლობა ტერაქტზე ჯერჯერობით არავის აუღია.

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში ბოლო წლების მანძილზე თავდასხმები ქრისტიანებზე, შეიძლება ითქვას, ყოველდღიურ რეალობად იქცა. რამდენიმე წელია, წმიდა საყდრის წარმომადგენლები საერთაშორისო საზოგადოებრიობას მზარდი ქრისტიანოფობიის პრობლემაზე მიუთითებენ. ეს ფენომენი არანაკლებ ძალისხმევასა და მიზანმიმართულებას მოითხოვს, ვიდრე ისლამოფობია და ანტისემიტიზმი.

„ძალადობის ამ სტრატეგიის სამიზნე ქრისტიანები არიან, შედეგებს კი ქვეყნის მთელი მოსახლეობა იმკის. ეს სიკვდილის მდაბიო ჟესტია, რომლითაც ქრისტიანთა საკუთარი სახლებიდან განდევნას ცდილობენ. ამგვარი ჟესტი შეურაცხყოფს ღმერთს და მთელ კაცობრიობას, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ლოცულობდა მშვიდობისთვის და ახალი იმედებით ხვდებოდა ახალ წელს“, — აღნიშნა უწმიდესმა პაპმა 1 იანვარს, მშვდობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ სიტყვაში.

„თავდასხმა არ ემსახურება ისლამს, არაფერი აქვს მასთან საერთო. იგი ისლამის მტრებმა განახორციელეს, რათა მუსლიმები არამუსლიმებს დაუპირისპირონ“, — ამბობს საუდის არაბეთის მთავარი მუფტი აბდელ აზიზ ალ შეიჰი.

ქუვეითისა და საუდის არაბეთის კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებმა დაგმეს „მკვლელობათა და ტერორისტულ თავდასხმათა ტალღა, ტერორისტული ჯგუფების ყველა მცდელობა, აიძულონ ქრისტიანები, გაიხიზნონ თავიანთი სახლებიდან და თავიანთი ქვეყნიდან“.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ თავის სამძიმარში შენუდა III-ადმი გამოთქვა იმედი, რომ დამნაშავენი დამსახურებულ სასჯელს მიიღებენ: „ბოროტმოქმედთა ჭეშმარიტ ზრახვებს არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან და მხოლოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევისკენაა მიმართული“. თავის წერილში მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ მიტროპოლიტმა ილარიონმა აღნიშნა, რომ თავდასხმა „რელიგიური შუღლის შემდგომ გაღვივებას ისახავს მიზნად. ტერორისტების მოქმედებებს არაფერი მოაქვს უბედურების, ცრემლისა და ტანჯვის გარდა, და ცივილიზაციას თვითგანადგურებით ემუქრება“.

10 იანვარს უწმიდესმა პაპმა მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობას და, განსაკუთრებით, მუსლიმური ქვეყნების ლიდერებს, მეტი იღვაწონ ქრისტიანულ უმცირესობათა დაცვისთვის. პონტიფექსმა კვლავ დაგმო ბოლოდროინდელი თავდასხმები ეგვიპტეში, ერაყსა და ნიგერიაში და რელიგიური შუღლის აღმოფხვრის უფრო ეფექტური ზომების აუცილებლობაზე მიუთითა.

ეკლესია ინდოეთის ფერმერთა მხარდამხარ

„ბრძოლა, რომელსაც ფერმერთა და მათი მიწების დასაცავად ვაწარმოებთ, გრძელდება. ეს სამართლიანობისთვის ბრძოლაა, რომელიც ასევე ევანგელიზაციის ნაწილია“, — აღნიშნა კარდინალმა ტელესფორ ტოპომ. ინდოეთის ეკლესია მხარს უჭერს 5000 გაფიცულ ფერმერს, რომელთაც სრული გაკოტრება ემუქრებათ, ბამბის მოუსავლიანობისა და სახელმწიფო დახმარების დაგვიანების გამო.

პროტესტის მხარდაჭერის გარდა, ეკლესია კონკრეტულ მატერიალურ დახმარებას უწევს დაზარალებულებს. კრიტიკულ რეგიონებში კარიტასი ფერმების რეგენერაციის პროგრამას ახორციელებს.

ყოფილი ანგლიკანები ტაძრების გარეშე

კათოლიკე ეკლესიის წიაღში დაბრუნებული ანგლიკანები ჯერჯერობით ღმრთისმსახურების ადგილის გარეშე რჩებიან. ტაძრების ერთობლივი გამოყენება, თუნდაც დროებითი, გამორიცხულია. ამრიგად, ბევრი ანგლიკანისთვის კათოლიკობის მიღება ერთობ დრამატული ნაბიჯია. მათ ხომ ის ტაძარი უნდა დატოვონ, რომელშიც მთელი ცხოვრების მანძილზე ლოცულობდნენ.

კათოლიკე ეკლესიის მიერ პერსონალური ორდინარიატისთვის საგანგებოდ გამოქვეყნებული ხელმძღვანელობა ადასტურებს სამოძღვრო სტრუქტურების აუცილებლობას. ორდინარიატს ეკლესიები სჭირდება, ასევე, ახალი ტაძარიც, რომელიც კათედრის ეკვივალენტი უნდა გახდეს.

კიდევ ერთი პრობლემა ყოფილ მოძღვართა და მათი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფაა. ინგლისისა და უელსის საეპისკოპოსომ ამისთვის 250 000 გირვანქა სტერლინგი გამოყო. გარკვეული თანხები კერძო პირებმაც გაიღეს.

ახალი ორდინარიატი აღდგომისთვის ამოქმედდება. მის პირველ მეთაურად უწმიდესმა პაპმა მამა კეიტ ნიუტონი დანიშნა.

ვენის ეპისკოპოსი ქუჩის ბავშვების დასახმარებლად

ქუჩის ბავშვებთან სოლიდარობის დღის აღსანიშნავად, ვენის ეპისკოპოსმა ფრანც შარლმა და სალეზიელთა ორდენმა ამ პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა განსაკუთრებული აქციით გადაწყვიტეს.

20 იანვარს, დილის 10 საათიდან, ვენის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ, ეპისკოპოსი ფეხსაცმლის მწმენდავის სამუშაოს ასრულებდა და ამგვარად ქუჩის ბავშვებისთვის ფულს აგროვებდა.

ავსტრიაში ეს პრობლემა არ არის, მაგრამ დღეს მსოფლიოში ოცდაცამეტი მილიონი უსახლკარო ბავშვია. ამ აქციით ავსტრიის ეკლესია საზოგადოების გამოფხიზლებასა და მზრუნველობამოკლებულთათვის რეალურ დახმარებას შეეცადა.

უწმიდესი პაპი პროტესტანტებთან ურთიერთობის შესახებ

ამონარიდი წიგნდან „ხალხთა ნათელი“

„უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დაგვავიწყდეს პროტესტანტიზმის მრავალფეროვნების შესახებ. ლუთერელები მხოლოდ მისი ნაწილია, ისევე, როგორც რეფორმატორები, მეთოდისტები და სხვები. უნდა აღინიშნოს ე. წ. თავისუფალი ეკლესიები, რომლებიც ძალზე დინამიკურად ვრცელდებიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და თავიანთ რელიგიურ ტექტონიკას ცვლიან. ამიტომ, როდესაც პროტესტანტიზმთან დიალოგზე ვსაუბრობთ, მისი მრავალფეროვნება უნდა გვახსოვდეს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტანტთა მიერ ბოლო დროს გადადგმულმა ნაბიჯებმა რამდენადმე დაგვაცილეს ერთმანეთს. ვგულისხმობ ქალთა ხელდასმას, ჰომოსექსუალურ ქორწინებებს და ა. შ. არსებობს ასევე სხვა ეთიკური პოზიციებიც, რომლებიც ართულებენ დიალოგს.

როგორც ქრისტიანებმა, უნდა ვიპოვოთ საერთო საფუძველი, ერთად ვეძებოთ მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტის გზები, გავერთიანდეთ ქრისტეს — ცოცხალი ღმრთის მოწმეობაში. სრული ერთობა უახლოეს დროს ვერ აღდგება, მაგრამ უნდა განვახორციელოთ ჩვენი ერთობლივი მისია — მოწმეობა“.

მონღოლეთი: 20 წელი კათოლიკეებთან ერთად

მონღოლეთის კათოლიკე ეკლესია 20 წლისაა. ევანგელიზაციას ამ ქვეყანაში სხვადასხვა ქვეყნის მისიონერები ახორციელებენ. ეკლესია წარმატებით ეწევა მსახურებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქველმოქმედება, განათლება, სოციალური პროექტები.

ეკლესიის საქმიანობას ამ ქვეყანაში უკვე მოაქვს კეთილი ნაყოფი: „ხელისუფლება კეთილგანწყობილია ეკლესიის მიმართ. საერთოდ, მტრულ გამოვლინებებს იშვიათად ვხვდებით. ზოგჯერ მცირე დაბრკოლებებს ვაწყდებით, მაგრამ არა ზოგადად ეკლესიის, არამედ პიროვნულ დონეზე. მაგალითად, ხანდახან ვიზების მიღება ფერხდება. ქვეყანაში უკვე არის სამოციქულო პრეფექტურა, გვყავს ეპისკოპოსი. დღეს მონღოლეთში 10 კათოლიკური სამრევლოა. აქედან 3 — ულან-ბატორში. მისიის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღიაა მონღოლი ხალხი რწმენისთვის“, — ამბობს მამა ვიქტორ ჯურჯა, მონღოლეთში მოღვაწე სალეზიელი.

საფრანგეთი. მრევლი ეპისკოპოსის წინააღმდეგ

9 იანვარს ავინიონის რამდენიმე ასეული კათოლიკე მთავარეპისკოპოსის რეზიდენციის წინ შეიკრიბა. მდუმარე აქციის მონაწილენი მთავარეპისკოპოს ჟან პიერ მარი კატენოს ქმედებებს აპროტესტებდნენ. როგორც ფრანგული კათოლიკური გაზეთი „La Croix“ წერს, მრევლის უკმაყოფილება რიგი მიზეზებითაა გამოწვეული: ეპარქიის კუთვნილი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, ადგილობრივი მღვდლების სხვა ეპარქიებში გადაყვანა და უცხოეთიდან მოწვეული ახალგაზრდა მღვდლების დანიშვნა, მრევლის აზრის უგულებელყოფა. ეპისკოპოსის მოწინააღმდეგეთა აზრით, უცხოელი ახალგაზრდა მღვდლები არ არიან მზად საფრანგეთში მსახურებისთვის, თანაც ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გაზეთისთვის „Le Mond“ მიცემულ ინტერვიუში, მთავარეპისკოპოსმა კატენომ უარყო ამგვარი ბრალდებები და აღნიშნა, რომ უცხოელ მღვდლებს „ახალი ევანგელიზაციის“ მოტანა შეუძლიათ. „მღვდლების რაოდენობა ჩვენს ეპარქიაში კლებულობს. ისინი, ვინც დარჩნენ, ბერდებიან. ახალგაზრდების ევანგელიზაციისთვის ახალგაზრდებია საჭირო“, — აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა.

„აღნიშნულ პრობლემათა გარდა, პრობლემას თავად ეპისკოპოსის პიროვნება წარმოადგენს. იგი ძალზე ბრუტალური და ხისტია. თავისი ქმედებით იგი უპატივცემულობას გამოხატავს მათ მიმართ, ვინც მასთან ერთად მუშაობს“, — აღნიშნა აქციის მონაწილე რენე მულენასმა რეგიონული გაზეთისთვის „Le Dauphine Libere“ მიცემულ ინტერვიუში.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობა თბილისის კათედრალში

2010 წლის 25 დეკემბერს, თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში აღვლენილ საშობაო-საზეიმო ლიტურგიას უკვე მეორედ დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი (სურ. იხ. გარეკანზე).

2009 წელს, საშობაო ლიტურგიაზე საქართველოს პრეზიდენტის დასწრებამ და საქართველოს კათოლიკეებისადმი დიდი ქრისტიანული დღესასწაულის საჯარო მილოცვამ სიხარული მოჰგვარა მილოცვის მრავალრიცხოვან ადრესატსაც და სხვა ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებსაც. ეს ვიზიტი გახლდათ მესიჯი ყველა მოქალაქისადმი, რომ საქართველო არ ღალატობს ტოლერანტობის არჩეულ კურსს და ქვეყანაში ყველა კონფესიის წარმომადგენელი თანაბარ პატივისცემასა და დაფასებას უნდა გრძნობდეს. ამასთანავე, ზოგი ეკლესიის აშკარა პრორუსული განწყობის ფონზე, ქვეყნის პირველი პირის ვიზიტი კათოლიკეებთან, ერთგვარი მინიშნებაც გახლდათ მათთვის, რომ ამ სახელმწიფოში პატრიოტულად განწყობილი და ქვეყნის მიერ არჩეული დასავლური კურსის ერთგული ეკლესიებიც ფუნქციონირებენ. ერთი სიტყვით, პრეზიდენტის სტუმრობა, მხოლოდ თავაზიანობის ვიზიტი და ტოლერანტობის საჯარო დამოწმება კი არ იყო, არამედ საკმაოდ შორს გამიზნული, ღრმა შინაარსის პოლიტიკური ნაბიჯი.

2010 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი მესტიაში იმყოფებოდა და თბილისის კათოლიკურ კათედრალს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ტყეშელაშვილი და უმრავლესობის წევრები ესტუმრნენ და ღამის ლიტურგიაში მიიღეს მონაწილეობა.

წმ. წირვის დასრულებისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ნიკა გილაურმა ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს კათედრიდან მიულოცა შობის დღესასწაული: **„დღევანდელ დღეს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, — მთელი კათოლიკური სამყარო აღნიშნავს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და მინდა, მივულოცო ეს დღესასწაული მთელი მსოფლიოს კათოლიკეებს, განსაკუთრებით კი — საქართველოს კათოლიკეებს. ყველას, ვინც აღნიშნავს ამ დღესასწაულს, მინდა, ვუსურვო წარმატება, გამარჯვება, ვუსურვო ბედნიერება და მშვიდობა, ჯანმრთელობა. და ასევე, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას ვუსურვო დამდეგი ბედნიერი 2011 წელი. მე ამაყი ვარ, რომ თქვენთან ვარ“**.

25 დეკემბერს, დღის საზეიმო, საშობაო წირვას მესტიიდან დაბრუნებული საქართველოს პრეზიდენტი დაესწრო. მან ტაძარში შეკრებილ მრევლს და სრულიად საქართველოს კათოლიკე მორწმუნეებს მაცხოვრის შობის დღესასწაული მიულოცა:

„მინდა, მოგილოცოთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული და გითხრათ, რომ ჩემთვის დიდი პატივია აქ, თქვენს წინაშე წარდგომა. ყველა თქვენგანის ოჯახს ბედნიერებას, სიხარულსა და წარმატებას ვუსურვებ; ღვთის მადლი არ მოკლებოდეს თითოეული ქართველი კათოლიკეს და არაკათოლიკეს ოჯახს. სამწუხაროდ, გუშინ მესაზე მოსვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ თქვენთან სვანეთიდან დაბრუნებისთანავე მოვედი. აქედან მივდივარ მის უწმინდესობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, რათა აღსაყდრების წლისთავი მივულოცო.

სიმბოლურია, რომ საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელი ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს ერთი რამ – ჩვენი სამშობლოს სიყვარული, ღვთის რწმენა და ჩვენი სამშობლოს მომავლის რწმენა. მე დიდი სითბოთი ვიხსენებ არა მხოლოდ რომში, ოფიციალური ვიზიტის დროს, პაპთან, ბენედიქტე XVI-თან შეხვედრას, არამედ, ასევე, იოანე-პავლე მეორის ისტორიულ ვიზიტს საქართველოში. ამ ვიზიტის დროს, მე შევხვდი მას, მაშინ საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი. ეს განსაკუთრებული დღეები და განსაკუთრებული მოვლენა იყო არა მხოლოდ კათოლიკეების, არამედ თითოეული ქართველისათვის, მათთვის, ვინც ყოველივე ამის მომსწრე გახდა.

ჩვენთვის ქართველი კათოლიკეები საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი კულტურული, სულიერი, საგანმანათლებლო და, ზოგადად, საერთო ეროვნული და მრავალეთნიკური ქართული მემკვიდრეობისა. მე არაერთხელ აღმინიშნავს იმ წვლილის შესახებ, რომელიც ქართველ კათოლიკეებს შეჰქონდათ საქართველოს ისტორიაში. ცნობილი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი დიდი ქართველი კათოლიკე იყო. ქართველი კათოლიკეები უკლებლივ ყველა სფეროში გვყავდა: გამოჩენილი კათოლიკე მეცნიერი, მამა მიხეილ თამარაშვილი, ასევე სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც საქართველოს დიდი პატრიოტი და თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი მამამთავარი და დამფუძნებელი იყო. ეს ურთიერთობა ჩვენი კულტურიდან, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან მოდის, ისევე როგორც დღევანდელი ურთიერთობები წმინდა საყდართან ურთიერთობის საფუძველია.

განსაკუთრებით მადლობელი ვარ, რომ ვატიკანი განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამის შესახებ პირადად ვუთხარი რომის პაპს, მასთან შეხვედრისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი რომის კათოლიკური ეკლესია (მსოფლიოში

▶ 6 გვ.

ამ აღმსარებლობის წარმომადგენელთა რიცხვი ყველაზე დიდია) საქართველოს ინტერესების მხარდამჭერია; ამისთვის მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, რადგან იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენეს, რომის წმინდა საყდრის საკმაოდ გავლენიანი მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსა და ჩვენი მომავალი ურთიერთობისათვის. ჩემი მხრივ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ თითოეულ თქვენგანს ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერის, სიყვარულისა და თანადგომის იმედი უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ დღესასწაულს, ვულოცავ ამ დღესასწაულს თქვენს მოძღვარს და მინდა, რომ ყველამ ერთად ვილოცოთ ჩვენი შვილებისათვის, ჩვენი ოჯახების, ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი საერთო მომავლისათვის“.

პრეზიდენტის მისალმების შემდგომ, კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ბატონ მიხეილ სააკაშვილს მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და კეთილი სურვილებისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მობრძანება შობის დღესასწაულზე კათოლიკურ ეკლესიაში დიდი პატივია თითოეული კათოლიკესათვის. **„ბატონო პრეზიდენტო, თქვენი სტუმრობა ეს არის ლამაზი ნიშანი თქვენი ყურადღებისა ჩვენი ეკლესიის მიმართ. და ჩვენ გვინდა, რომ თქვენი ყურადღება მიმართული იყოს ყველა ქართველის მიმართ. თქვენი მილოცვა, თქვენი სურვილი ჩვენთვის არის პატივისცემის ნიშანი და მადლობელი ვართ ამისთვის“**.

საშობაო ლიტურგიაში მონაწილეობდა წმიდა საყდრის სადესპანოს მდივანი, მონსინიორ ფილიპო ჩამპანელი, რომელმაც, მისი და ვატიკანის ელჩის სახელით, პატივისცემა გამოხატა ქვეყნის პირველი პირის მიმართ, რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის სახელით, საქართველოს პრეზიდენტს, მის ოჯახს და მთელ ქართველ ერს ყოველივე საუკეთესო უსურვა.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენი უკვე მეორე სტუმრობა ამ ეკლესიაში დიდი პატივია ქართული კათოლიკური საზოგადოებისათვის. ყველა ჩვენგანი ამას აღიქვამს, როგორც აღიარებას იმ უამრავი გამოჩენილი კათოლიკე მოღვაწის დამსახურებისა, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს თავიანთ სამშობლოს.

საერთო ქრისტიანული რწმენა ჩვენს ეკლესიას განსაკუთრებით აახლოვებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რადგან ამ ორ ეკლესიას შორის საერთო გაცილებით ჭარბობს განსხვავებულს.

ბატონო პრეზიდენტო, ქართულმა კათოლიკურმა საზოგადოებამ კმაყოფილებით შეიტყო თქვენი შეხვედრის შესახებ პაპ ბენედიქტე XVI-სთან, მიმდინარე წლის მაისის თვეში, ქ. რომში. ამ შეხვედრის დროს წარმოთქმულმა თქვენმა სიტყვებმა იმედი ჩაგვისახა, რომ შორს აღარაა ის დღე, როცა მოხდება საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ცნობა მისთვის შესაფერისი იურიდიული ფორმით.

ამ თქვენი ძალისხმევისა და მხარდაჭერისათვის, პატივი მაქვს, გამოვხატო საქართველოში დროებით არმყოფი წმიდა საყდრის დესპანისა და პირადად ჩემი ულრმესი პატივისცემა თქვენდამი და გადმოგცეთ პაპ ბენედიქტე XVI-ის გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები თქვენ, თქვენს ოჯახსა და მთელ ქართველ ხალხს.

დაე, ქვეყანაში დაისადგუროს მშვიდობამ და კეთილდღეობამ, ბოლო მოეღოს იმ დაძაბულობას, რომელიც ამდენი ხანია ტანჯავს ამ მშვენიერ ერს, რათა ქვეყანა განვითარდეს ისე, როგორც მას შეეფერება.

ჩვენი საერთო სურვილია, და დარწმუნებულნიც ვართ, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყონ ის ძირითადი უფლებები, რომლებსაც მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება ადამიანის უფლებებს უწოდებს, რათა საქართველომ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ერთა შორის, რაც ამ ქვეყანამ თავისი დიდი და საამაყო ისტორიით დაიმსახურა.

ღმერთმა დალოცოს საქართველო!

ბატონო პრემიერ მინისტრო,

საქართველოში დროებით არმყოფი წმიდა საყდრის დესპანის სახელით, მსურს გადმოგცეთ წმიდა საყდრის მადლიერება ყურადღებისა და იმ დიდი პატივისათვის, რომელიც წმიდა შობადღის წინაღამეს თქვენი აქ მობრძანებით დასდეთ კათოლიკურ საზოგადოებას.

თქვენი სახით აქ წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთაც წმიდა მამა ბენედიქტე XVI გულითადად მიესალმება.

დარწმუნებული ვართ, რომ გულისხმიერების ეს და სხვა გამოხატულებანი დასტურია იმისა, რომ უკვე შორს აღარაა კათოლიკური ეკლესიისა და ზოგიერთი სხვა კონფესიისა თუ რელიგიის სათანადო და ღირსეული ფორმით ცნობა, რაც იქნება აღიარება იმ მნიშვნელოვანი წვლილისა, რომელიც ჩვენს მორწმუნეებს შეაქვთ ქვეყნის მშენებლობისა და წინსვლის საქმეში, ქვეყნისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ითვალისწინებს თანამედროვეობის მოთხოვნებს და, ამავე დროს, არც თავისი ფესვებიდან მომდინარე საუნჯეს ივინყებს.

თქვენ და თქვენს ოჯახს გადავცემ დესპანისა და პირადად ჩემს გულითად სალამს და გისურვებთ ბედნიერ შობადღესა და ახალ წელს.

P.S. საქართველოს ტელე-არხებმა ფართოდ გააშუქეს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის სტუმრობა თბილისის კათოლიკურ კათედრალში. ასევე, რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის საშობაო მსახურება წმ. პეტრეს ტაძარში და საშობაო ქადაგება და ტრადიციული მილოცვა მსოფლიოსადმი, რომელსაც პაპი 65 ენაზე, მათ შორის ქართულადაც, წარმოთქვამს. ტელეარხებმა ვიდეო რგოლიც წარმოადგინეს, სადაც პაპის საშობაო მილოცვის ის ფრაგმენტია აღბეჭდილი, როდესაც წმიდა მამა ქართულ ენაზე წარმოთქვამს საშობაო მილოცვას. აქვე აღვნიშნავ, რომ, როგორც წესი, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საშობაო რეპორტაჟში აღარ ფიგურირებდა გამოთქმა „კათოლიკური შობა“, ეს არაზუსტი ფრაზა შეიცვალა ფრაზით — „გრიგორიანული კალენდარი“, რომელიც უფრო ზუსტი და უმტკივნეულო ფორმაა, ვიდრე „ახალი სტილი“, ტერმინი, რომელიც აღიზიანებს იულიუსის, ანუ ძველი სტილით მოქმედ ეკლესიებს. ხოლო ე.წ. ძველი სტილის ნაცვლად, ქართულ ტელესივრცეში პირველად უფრო ნეიტრალური ტერმინი „იულიუსის კალენდარი“ გამოიყენეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ „რუსთავი 2-მა“ არც ის დაუმალა საქართველოს მოსახლეობას, რომ იულიუსის კალენდრით შობას, ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, აღნიშნავენ მხოლოდ რუსეთის, სერბეთის, ათონის მთისა და საქართველოს ეკლესიები.

ქართველი კათოლიკეების მიერ შობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ გამოირჩეოდა კეთილგანწყობითა და სიმპათიით, პირველი არხი აკადემიურ ნეიტრალურობას იჩენდა, ხოლო ტელეკომპანია „იმედის“ საშობაო სიუჟეტში კი კვლავ იგრძნობოდა პროვინციალური ტენდენციურობა და მიკერძოებულობა. ასე რომ „იმედმა“, ნებსით თუ უნელიეთ, კვლავ უიმედო არაკომპეტენტურობისა და მიკერძოების დემონსტრირება მოახდინა.

საქართველოს პრეზიდენტის საშობაო ვიზიტი იმ რელიგიურმა გაერთიანებებმა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ და შობას გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ, დიდი სიხარულით მიიღეს, და ეს რელიგიურ უმცირესობათა მიმართ ქვეყნის პირველი პირისა და ხელისუფლების სულიერ თანადგომად აღიქვეს.

ნუგზარ ბარდაველიძე

როგორ შეეგება ბათუმი ახალ წელს

ბათუმი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და სახმელეთო და საზღვაო კარიბჭეა. იგი დღითი-დღე შენდება და მშვენდება. ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მის კეთილმოწყობასა და განაშენიანებას. იზრდება ტურისტების ნაკადი, რაც, თავის მხრივ, ზრდის ქალაქისა და ქვეყნის შემოსავალს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში საკმაოდ ბევრი ქართველი კათოლიკე ცხოვრობდა. 1902 წელს გაზეთი „ივერია 61-ე ნომერში წერდა: „ბათუმი ძლიერ მალე იზრდება. დღეს 30 000-ზე მეტი მცხოვრებია აქ... ქალაქის ნახევარი ქართველობაა. მარტო ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 3500-4000 სულამდე გახლავთ“...

დღეს, სამწუხაროდ, კათოლიკეთა რიცხვი ბათუმში საგრძნობლად შემცირებულია. ბათუმის სულიწმიდის კათოლიკური ეკლესიის მრევლი 100 კაცზე ოდნავ მეტია.

ჩვენთვის დიდად სასიხარულოა, რომ იტალიის ქ. ვერონასა და ბათუმს შორის მეგობრობის ხიდი იდება. ვერონა ხომ ჩვენი ეპისკოპოსის ჯუზეპე პაზოტოსა და ჩვენი მოძღვრის მამა გაბრიელე ბრაგანტინის მშობლიური ქალაქია. ვერონიდან ხშირად გვსტუმრობენ სტიმატინი მამები და მორწმუნეები. ისინი დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს საკრებულოს.

15 დეკემბერს ბათუმის თვითმმართველობის შვიდკაციანი დელეგაცია ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი კირთაძის ხელმძღვანელობით ვერონაში გაემგზავრა. ვიზიტის მთავარი მიზანი ორ ისტორიულ ქალაქს შორის მეგობრობის მემორანდუმის მომზადება-გაფორმება იყო. ვერონა მსოფლიოს ათამდე ქვეყანასთანაა დამეგობრებული. წელს იტალიის ამ უძველეს ქალაქს მსგავსი ინიციატივით სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე ქალაქმა მიმართა. ბათუმი სამი ქალაქიდან ერთ-ერთია, რომელთანაც ვერონას მუნიციპალიტეტმა დამეგობრების სურვილი გამოთქვა. მეგობრობის მემორანდუმი ბათუმსა და ვერონას შორის ეკონომიკის, განათლების, კულტურისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. ვერონა იტალიის ინდუსტრიული ზონის ცენტრიცაა და ცნობილია ხე-ტყისა და მარმარილოს წარმოებით. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი კირთაძემ და ვერონას მერმა ფლავი ტოზიმ ბათუმსა და ვერონას შორის დამეგობრების მემორანდუმს წინასწარ მოაწერეს ხელი. იტალიური მხარე საქართველოში აღმშენებლობის პროცესით დაინტერესდა.

„ვერონასთან დამეგობრება ჩვენთვის დიდი პატივია. იგი ჩვენთვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია, — განაცხადა დელეგაციის წევრმა, ბათუმის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ეკატერინე თარგამაძემ.

ბათუმისა და ვერონას დამეგობრება იტალიაში მცხოვრები ქართველი კათოლიკეების მამუკა მეგენეშვილის, ინგა ილურიძის და მისი მეუღლის ნუმრუდ ფომაევის მხარდაჭერამ განაპირობა. მემორანდუმი სავარაუდოდ რამდენიმე თვეში გაფორმდება და ვერონას მუნიციპალიტეტის შესასვლელში გამოფენილი დამეგობრებული ქალაქების გერბებს მალე ბათუმის გერბიც შეემატება.

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის მზადება ბათუმში დეკემბრის შუა

▶ 8 გვ.

შობა ბათუმში

რიცხვებიდან დაიწყო. 25 დეკემბრისათვის ქალაქის ქუჩები უკვე მორთული იყო ილუმინაციებით და ბათუმი ღამით ზღაპრულ ქალაქს ჰგავდა.

შობის წმ. წირვის სადღესასწაულო ფრაგმენტები აჭარის ტელევიზიამ 25 დეკემბერს გააშუქა. განსაკუთრებით ლამაზი იყო პრეზეპე, რომელიც წელს ტაძრის შესასვლელი კარის ზემოთ მოეწყო და კიდევ უფრო მეტად გაალამაზა ტაძარი.

ჩვენთვის დიდად სასიხარულოა, რომ შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ქვეყნის პრეზიდენტი ეწვია თბილისის საკათედრო ტაძარს, დაესწრო წმიდა წირვას და საქართველოს კათოლიკეებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული მოგვილოცა. ეს თანადგომა გვავსებს იმედით, რომ შორს არაა ის დღე, როდესაც კათოლიკე ეკლესია თავის კუთვნილ, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენს ქვეყანაში, რაც იურიდიულადაც გაფორმდება.

ბათუმის მოსახლეობა ძველთაგანვე გამოირჩეოდა თავისი ტოლერანტობით. აქ ადამიანები ყოველთვის ფაქიზად ექცეოდნენ ერთმანეთის რელიგიურ გრძნობებს. ბათუმში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ მაჰმადიანები, მართლმადიდებელები, კათოლიკეები, პროტესტანტები, ებრაელები და სხვები. სამწუხაროა, რომ დღეს ადგილი აქვს კათოლიკეებისა და რომის პაპის საწინააღმდეგო გამოხდომებს, რისი პასუხგაუცემლობაც, ვფიქრობ, გამართლებული არ იქნება. ამ სადღესასწაულო დღეებში აჭარის ტელევიზიით შემდეგი სიუჟეტი გადაიცა: ბათუმის ყოფილი კათოლიკური ეკლესიის ფონზე გამოსახული პიროვნება, რომელიც პაპს ადანაშაულებდა, რომ მან კალენდარიდან „გააქრო“ 13 დღე, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ძალით გაავრცელა ევროპაში ეს კალენდარი და ასევე, ძალად შემოიტანა საქართველოშიც.

მიგვაჩნია, რომ კალენდარსა და ასტრონომიულ გამოთვლებზე უნდა ილაპარაკონ მეცნიერებმა და კომპეტენტურმა პირებმა და არა, შემთხვევითმა პიროვნებებმა. მოსახლეობის უმრავლესობამ, რომელიც გათვითცნობიერებული არ არის ამ საკითხში შეიძლება დაიჯეროს მსგავსი დამახინჯებული ფაქტები, მით უმეტეს, რომ ის აჭარის სახელმწიფო ტელევიზიით გადაიცა.

კათოლიკე ახალგაზრდების ჯგუფმა მთხოვა, მიმემართა კათოლიკური ეკლესიისათვის, რათა ამ ცილისმწამებლურ და დამახინჯებულ ინფორმაციას ჯეროვანი, დასაბუთებული, კომპეტენტური პასუხი გაეცეს ამავე ტელევიზიით, რადგანაც აუცილებელია, რომ მეცნიერულად შესწავლილი და დასაბუთებული ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას.

საახალწლოდ პრეზიდენტმა და მთავრობამ ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს დიდი საჩუქარი გაუკეთა: 31 დეკემბერს ერას მოედანზე გაიმართა გრანდიოზული საახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: აჭარის სახელმწიფო ანსამბლი; სუხიშვილების ნაციონალური ბალეტი; ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მოცეკვავეები ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით; ბათუმის სახელმწიფო კაპელა; ცნობილი მომღერლები: ნანი ბრეგვაძე, სოფო ნიჟარაძე, სოფო ხალვაში, ვაჟა მანია; კუბური ანსამბლი „ბუენა ვისტა“; ბრაზილიელი მოცეკვავეები, საცირკო ხელოვნების ოსტატები; ქართველი მოციგურავეები, ქეთევან გედევანიშვილი და ოთარ ჯაფარიძე.

კონცერტის მთავარი მონაწილე და ბათუმის განსაკუთრებული სტუმარი იყო ცნობილი იტალიელი სოპრანო ანდრია ბოჩელი.

თუმცა 31 დეკემბერს ამინდი გაფუჭდა და წვიმა წამოვიდა, ამან ვერ შეაშინა ბათუმლები და ქალაქის სტუმრები, ერას მოედანი ხალხით იყო სავსე და ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ნაირფერი ფეიერვერკებით განათებული ცის ქვეშ ბათუმი მართლაც ზღაპრული სანახავი იყო.

აი, გასრულდა საშობაო დღეებიც. წინ ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის რვადღეულია, რომელსაც ყოველწლიურად სულ ურო მეტო ქრისტიანი უერთდება.

საშობაოდ კათოლიკეებმა კიდევ ერთი საჩუქარი მივიღეთ საეკლესიო კალენდრის სახით. იქ დაბეჭდილი ლოცვები და წმ. წერილის განმარტებები დიდ დახმარებას გვიწევს რწმენის განმტკიცებაში, ღმრთის სიტყვის უკეთ შეცნობაში. მნიშვნელოვანია, რომ კალენდარში აღნიშნულია ქრისტიანული დღესასწაულები, მოციქულთა, წმიდანთა, მოწამეთა და საქართველოს კათოლიკე მოძღვართა ხსენების დღეები.

მოუთმენლად ველოდი წლევანდელ კალენდარს, მაგრამ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ვერც წლევანდელ კალენდარში ვიხილე ჩემთვის და, ვფიქრობ, არა მარტო ჩემთვის ძვირფასი მოძღვრის აბატი პეტრე ხარისჭირაშვილის ხსენების დღე. ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ღვთისა და მშობელი ხალხის სამსახურში გაატარა, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და იმ დროს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტერი დააარსა, სადაც აღიზარდნენ მიხეილ თამარაშვილი, მიქელ თარხნიშვილი და ყველა ის მოძღვარნი, რომელნიც შემდგომში ემსახურებოდნენ საქართველოს კათოლიკე მრევლს. მონასტერი, სადაც იბეჭდებოდა ქართულ ენაზე ლათინური წესის ლოცვანნი და ვრცელდებოდა საქართველოში. ეს იმ დროს, როდესაც თვით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიებში რუსეთის ცარიზმის მიერ აკრძალული იყო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა.

ვფიქრობ, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილის ხსენების დღე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ჩვენს საეკლესიო კალენდარში და ვიმედოვნებ, ეს უყურადღებობა მომავალში მაინც გამოსწორდება.

ყველას მთელი გულით გილოცავთ ქრისტეშობასა და ახალ წელს. ღმერთმა დალოცოს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მოძღვარნი და მრევლი, ყველა ჩვენი მეგობარი, ყველა კეთილი ნების ადამიანი განურჩევლად სარწმუნოებისა, ვინც უფლის გზით დადის და სიყვარულსა და სიკეთეს თესავს.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

მადლობა გულისხმიერებისათვის

სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო, ჩემმა მშობლებმა ბავშვობაში ვერ მომნათლეს და, მიუხედავად იმისა რომ ღმერთი მწამდა, ასე მოუნათლავმა განვლე ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის მქონდა მონათვლისა და ქრისტიანად გახდომის სურვილი.

როდესაც ჩემი სურვილი ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და არლის მოძღვარს, მამა იეჟი შიმეროვსკის გავანდე, მათ მოიწონეს ჩემი განზრახვა, დიდი სულიერი თანადგომა გამოიჩინეს ჩემს მიმართ და ყოველმხრივ დამეხმარნენ.

მოვინათლე გიორგის სახელით, 2010 წლის 25 დეკემბერს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, არლის წმ. იოსების ეკლესიაში, სადაც ჩემი შვილი, მ. მიშა სურმავა ეწევა მსახურებას.

ღმერთს მადლობას ვწირავ ასეთი დიდი მადლისათვის.

„საბას“ მეშვეობით მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს საყვარელ ეპისკოპოსს, ჯუზეპე პაზოტოს და ძვირფას მოძღვარს, მამა იეჟის, რომელმაც ქრისტეს საიდუმლოებებს მაზიარა, ასევე, ქრისტინე ვარდიძესა და მალხაზ ჩილინგარაშვილს, რომლებიც, მ. იეჟისთან ერთად, კატეხიზაციებს მიტარებდნენ.

პატივისცემით,

ლერი-გიორგი სურმავა

„კარიტასის“ წევრების შეხვედრა მამა იექისთან

ქუთაისის „კარიტასის“ წევრებისთვის მამა იეჟი პილუსთან შეხვედრა თითქმის დღესასწაულის ტოლფასია. ჩვენ საშუალება გვეძლევა, რამდენიმე საათი გავატაროთ იმ პიროვნებასთან, რომელიც გვიყვარს, რომელსაც ყოველთვის ესმის ჩვენი; მასთან ურთიერთობა სულიერად გვზრდის და ერთმანეთთან გვაახლოებს.

2010 წლის 17 დეკემბრის შეხვედრის თემა ქრისტიანულ გულმოწყალებას ეხებოდა.

მამა იეჟიმ შეხვედრა სახარებით დაიწყო. სწორედ სახარება გვასწავლის ქრისტიანულ გულმოწყალებას. ამიტომ როდესაც გულმოწყალებაზე ვსაუბრობთ, მისი მთავარი წყარო არ უნდა დავივიწყოთ. ყოველთვის უნდა ვიცხოვროთ სახარებისეული პრინციპებით, ის ჩვენი ცხოვრების, ჩვენი საქმიანობის სტიმული უნდა გახდეს, რადგანაც იმ სულისა და იმ სტიმულის გარეშე, რასაც სახარება გვაძლევს, რაც არ უნდა კარგი მუშაკნი ვიყოთ, არაფერი გამოგვივა ისე, როგორც სიყვარულს — „კარიტასს“ შეეფერება. კარიტასის ორგანიზაცია ხომ სახარებისეულ ფასეულობებზეა დამყარებული. ყოველი მორწმუნე ადამიანის ცხოვრებისეული მიზანი ცათა სასუფევლის მოპოვებაა, ხოლო თუ როგორ მოვიპოვოთ ის, ამაზე სახარება პასუხობს.

ღმერთი განსაკუთრებით მფარველობს ჩაგრულ ადამიანებს, იგი გამუდმებით იცავს მათ. შემთხვევითი არ იყო, რომ ყურძნის დაკრეფის, ან ხორბლის აღების შემდეგ დარჩენილ ნარჩენებს პატრონი ველარ მიუბრუნდებოდა, რადგან ის ღარიბებს ეკუთვნოდა. „კარიტასის“ მიზანიც სწორედ ღარიბების დახმარება, მათთან სიახლოვეა.

არიან ადამიანები, რომელთაც სიხარულს გვრის გაჭირვებულის დახმარება და ყოველთვის მზად არიან ამისთვის; იესოს სიყვარული გვაძლევს ძალას, ყოველგვარი წინააღმდეგობა ადვილად გადავლახოთ. წინააღმდეგობათა გადალახვა და ერთმანეთისადმი სიყვარული — ეს არის კარიტასის მიზანი. ნებისმიერ საქველმოქმედო ორგანიზაციებში არიან პროფესიონალი მუშაკები, მაგრამ, სიყვარულის გარეშე, ისინი დაკარგავენ ღარიბებთან სიახლოვეს.

ზოგჯერ კეთდება ბევრი პროექტი, სრულდება დასახული გეგმები, მაგრამ არ ჩანს პიროვნებისადმი სიყვარული. „კარიტასში“ მომუშავე ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს სიყვარულის განცდისა და, ასევე, მისი გაცემის უნარი; უნდა ჰქონდეს რწმენა და დიდი გული, რათა თავადაც შეძლოს დიდი სითბოს გაცემა. სწორედ ასეთი პიროვნებები მუშაობენ კარიტასში.

პაპის ენციკლიკაში „ღმერთი სიყვარულია“ საუბარია სიყვარულზე, არა როგორც მხოლოდ გრძნობაზე, არამედ რაღაც უფრო დიდსა და მნიშვნელოვანზე. გრძნობა ნელდება, ან კვდება. ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული კი მთლიანად მოიცავს ადამიანს. ენციკლიკაში საუბარია იმაზე, რომ, როცა ადამიანი შეხვდება ღვთის სიყვარულს, იგი მთლიანად მოიცავს მას, მიიზიდავს მის გონებას, გრძნობას. „ამ დროს, ღვთის

▶ 10 გვ.

ნების მიყოლით, ჩვენი ტვინი და გრძნობა ერთიანდება და მოცულია ერთი იდეით“, — ამბობს პაპი.

ჩვენ ხშირად სიყვარულის, სიკეთის გამომჟღავნების შიში გვაქვს, რადგან არ ვიცით, საით წაგვიყვანს იგი. სამარიელს კი არ ეშინია ამისი და როცა ყაჩაღებისგან დაჩაგრულ, დაჭრილ ადამიანს დაინახავს, მიატოვებს თავის საქმეს და მის დასახმარებლად გაიქცევა, იზრუნებს მასზე, სასტუმროში წაიყვანს და მის მეპატრონეს ეტყვის: „იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემო“ (ლუკ. 10, 30-35). სამარიელი, დაჩაგრულის დახმარების შემდეგ, კი არ იხსნის ყოველგვარ მოვალეობას, არამედ ახალ ვალდებულებებსაც იღებს. სწორედ ეს არის ღვთის სიყვარული.

ნუ დავივიწყებთ მიტოვებულ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს დახმარებას საჭიროებენ! ჩვენ, როგორც კარიტასის თანამშრომლებს, კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული ჩვენი მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

ჩვენი შეხვედრის მეორე ნახევარი ჯგუფურ მუშაობას დაეთმო, შევეხეთ ყველა პრობლემას, რასაც ვაწყდებით ყოველდღიური საქმიანობისას, რაც ხელს გვიშლის საქმის უკეთ წარმართვაში. შევეცადეთ, მოგვეძებნა პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის საჭიროებას, რათა ისინი არ მიიზიდოს ქუჩამ, რომ თითოეულ მათგანს მიეცეს განვითარების საშუალება, მისი უნარისა და ნიჭის მიხედვით; კეთილგონივრულად განვიხილოთ მშობლებთან ურთიერთობის დროს წამოჭრილი პრობლემები.

სამწუხაროა, რომ ბევრი ფაქტი რეაგირების გარეშე რჩება. ამის მიზეზი მრავალგვარია: მატერიალური სახსრების სიმცირე, ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება, ტელევიზიისა და მას-მედიის მიერ ფაქტების გაყალბება და სხვ.

მიუხედავად ყველა პრობლემისა, რაც შეხვედრაზე ნამოიჭრა, აუდიტორია შეთანხმდა, რომ მოთმინებით, მეტი ინფორმაციითა და ჩართულობით, მოხალისეების გააქტიურებით, მცირე პროექტების ამუშავებით და ქველმოქმედი ადამიანების მიზიდვით, შევძლებთ სასურველი მიზნის მიღწევას.

ნინო ჟღენტი, ნანა მიზანდარი

მეტი თანადგომა და გულისხმიერება

2010 წლის ოქტომბერში, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და „საქართველოს კარიტასის“ ხელშეწყობითა და თანადგომით, ახალციხის საკრებულოსთან დაარსდა „ახალგაზრდა ინვალიდთა ცენტრი“. ამ მიზნისთვის საკრებულომ გამოგვიყო საჭირო ინვენტარითა და სპეციალური მოწყობილობებით აღჭურვილი ოთახი და სამზარეულო.

ცენტრში სულ თერთმეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული, მათ შორის, ოთხს ბინაზე ვაკითხავთ, ხოლო შვიდს — კვირაში სამჯერ უწევს ცენტრში ყოფნა, დილის 10-დან 14 საათამდე. გვემსახურება ავტომანქანა.

ცენტრში გაერთიანებულ ინვალიდებს ვასწავლით ხელსაქმეს, კერძოდ: ძერწვას, ჭრა-კერვას. ასევე, ვაჩვევთ მხატვრულ კითხვას, ვუკითხავთ ლექსებსა და ზღაპრებს.

ცენტრის უკეთ მუშაობისა და ორგანიზების მიზნით, მისი წევრები, და პასკალინა, მელანო ჩილინგარაშვილი და ელზა ზუბაშვილი, თბილისსა და ქუთაისში გავემგზავრეთ ერთკვირიან სემინარებზე.

2010 წლის 6 დეკემბერი ცენტრის ბინადართათვის უჩვეულო და დაუვიწყარი იყო, რადგანაც „მოხდა სასწაული“, და თავად წმ. ნიკოლოზი ეწვია მათ, ნიკოლოზობა მიულოცა და ტკბილეულითაც გაუმასპინძლდა. უნდა გენახათ მათი სახეები: ახალგაზრდების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უზომო ბედნიერება იკითხებოდა მათ გაბრწყინებულ თვალებში.

საგულისხმოა, რომ საკრებულოს წევრებიც არ ივიწყებენ ცენტრის ბინადართ და პერიოდულად სტუმრობენ მათ, ტკბილეულითა და საჩუქრებით ხელდამშვენებულები, ესაუბრებიან, საინტერესო ამბებს უყვებიან და ცდილობენ, ნორმალური ცხოვრება დაუბრუნონ მათ.

ამ შეხვედრების შემდეგ, ახალგაზრდები ყოველთვის აღფრთოვანებულები და კმაყოფილები ბრუნდებიან სახლებში და თავს სრულყოფილ ადამიანებად გრძნობენ. მართლაც, ისინიც ხომ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მათ ჩვენი თანადგომა და უფრო მეტი გულისხმიერება სჭირდებათ, რათა თავი არ იგრძნონ საზოგადოებისაგან გარიყულებად და თავიანთ ტკივილთან მარტონი არ დარჩნენ.

უფალს ვთხოვ, უფრო მეტმა ადამიანმა გამოიჩინოს გულისხმიერება მათ მიმართ, რათა ის მძიმე ტვირთი, რაც მათ ბედმა არგუნა, ადვილად გადაიტანონ.

და პასკალინა

წმ. ნინოს დების კონგრეგაცია

ახალი წმიდანები, რომლებიც ქრისტეს ეკლესიის წმიდანთა გუნდს შეუერთდნენ

წმიდა მამამ, ბენედიქტე XVI-მ, 2010 წლის 17 ოქტომბერს ექვსი ნეტარი შერაცხა წმიდანად. მათთან ერთად, უთუოდ უნდა გავიხსენოთ კიდევ ოცდარვა წმიდანი, რომელთა კანონიზაცია ბენედიქტე XVI-ის პაპობის ხუთწლიან პერიოდში მოხდა. მათ შორისაა ბელგიელი დამიან დე ვაუსტერი (1840-1889), კეთროვანთა მოციქული, რომელიც 33 წლის ასაკში გაემგზავრა კუნძულ მოლოკაიზე, ჰავაის არქიპელაგზე, რათა ეზრუნა იქ გარიყულ კეთროვნებზე; ბენედიქტე XVI-მ ნეტარად შერაცხა ხუთასზე მეტი პიროვნება და მისი პაპობის პერიოდში, სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ყველაზე მეტი ცერემონიალი გაიმართა. 2007 წლის ოქტომბერში, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს დაღუპული ოთხას ოთხმოცდათვრამეტი წამებულის სულის მოსახსენიებლად, წირვა აღევლინა. პაპის მიერ შერაცხულ ნეტართა სიაში არიან მ. იეჟი პოპიელუცკო და ახალგაზრდა კიარა ბადანო.

ქვემოთ, უფრო დეტალურად წარმოგიდგენთ ახალ წმიდანებს, რომლებიც ქრისტეს ეკლესიის წმიდანთა გუნდს შეუერთდნენ:

სტანისლავ კაზიმერჩიკ ზოლტისი STANISŁAW KAZIMIERCZYK SOŁTYS (1433-1498): წმიდა სტანისლავ კაზიმერჩიკი XVI საუკუნეში მოღვაწე ბერმონაზონია; მორწმუნე ადამიანისთვის იგი უდიდესი მაგალითი და დაუდგრომელი მეოხია. მთელი მისი ცხოვრება ევქარისტიას უკავშირდება; პატარა სტანისლავი კაზიმირის (ამჟამინდელი კრაკოვის) korpus dominis ეკლესიაში ეზიარა რწმენას, იქვე წარმოთქვა სამღვდლო აღთქმა და იქვე მსახურობდა, როგორც მღვდელი, აღმზრდელი, გაჭირვებულთა შემწე. იგი განსაკუთრებული სიყვარულით იყო განწყობილი ევქარისტიის მიმართ; მთელი არსებით იძირებოდა უფლის სიკვდილისა და აღდგომის საიდუმლოში და ასე აღასრულებდა წმიდა წირვას;

ანდრე (ალფრედ) ბისეტი ANDRÉ (Alfred) BESSETTE (1845-1937): ალფრედ ბისეტი (საერო სახელი) 1845 წლის 9 აგვისტოს დაიბადა კანადაში, კვებეკის პროვინციის სოფელ სან-გრეგორი იბერვილში. იგი მერვე შვილი გახლდათ ისაკ ბისეტისა და კლოტილდა ფოისის ღარიბ ოჯახში. 9 წლისა მამით დაობლდა, 12 წლისას კი დედაც გარდაეცვალა; მასზე მზრუნველობა დეიდამ იკისრა, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო; ალფრედმა, რომელსაც საარსებო ლუკმა-პურის მოპოვებისთვის უნდა ეზრუნა, დიდი გაჭირვებით მოახერხა წერა-კითხვის შესწავლა. ფიზიკური სისუსტე მას სტაბილური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა, სულ რაღაც ორ წელიწადში მან რამდენიმე ხელობა გამოიცვალა კვებეკში; 1863-67 წლებში იგი პერიოდულად მუშაობდა აშშ-ში.

ალფრედ ბისეტი განსაკუთრებულ მოწიწებასა და სიყვარულს იჩენდა წმიდა იოსების მიმართ; ისიც, მასავით უცხოეთში გადახვეწილი, სიღატაკეში ცხოვრობდა და საკუთარი შრომით ირჩენდა თავს. ამერიკიდან დაბრუნებულმა, თავის მოძღვარს დაუმტკიცა, რომ მისი რელიგიური მოწოდება და რწმენა ოდნავადაც არ განელებულა. მაშინ მოძღვარმა ურჩია, წმიდა ჯვრის კონგრეგაციაში შესულიყო. 1870 წლის ბოლოს, ალფრედი წმიდა ჯვრის მოძმეთა ნოვიციატში შევიდა და ეწოდა ძმა ანდრეა.

წმიდა ჯვრის კონგრეგაცია დაარსდა საფრანგეთში, მამა ბასილ მორუს მიერ. კონგრეგაციაში მოღვაწეობენ მღვდლები, ბერები და მონაზვნები. კანადაში ისინი 1847 წელს ჩამოვიდნენ ეპისკოპოსის მოწვევით და ფრანგული ენის შემსწავლელი სისტემა შექმნეს, რომელიც, ერთი საუკუნით ადრე, 1759 წელს გააუქმეს ინგლისელებმა, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს კათოლიკე და ფრანგი მოსახლეობის ასიმილაცია.

ბისეტის მოძღვარმა კონგრეგაციის ხელმძღვანელებს შემდეგი სახის უწყება გაუგზავნა: „გიგზავნით წმიდანს“. სუსტი ჯანმრთელობის გამო, ალფრედმა ნოვიციატში დროზე მეტხანს დაჰყო; რელიგიური აღთქმები მან 1872 წელს დადო. იგი დანიშნეს მონრეალის ნოტრ-დამის კოლეჯის კარისკაცად; ამ ადგილზე მან ორმოცი წელი დაჰყო; იგი, თავისებური იუმორით, ხშირად იმეორებდა: „40 წელი კარებთან გავატარე, მაგრამ გარეთ არავის გავუგდივარო“.

მართალია, ის კოლეჯის კარისკაცად მსახურობდა, მაგრამ თავისი გამჭრიახი გონებითა და იუმორის გრძნობით იგი სულ მალე ღატაკთა, სნეულთა და გაჭირვებულთა ნუგეშად იქცა, რომლებიც მას თავიანთ ლოცვებს ანდობდნენ.

30 წლის ასაკში მან უჩვეულო განკურნებები მოახდინა; 1878 წელს გაზეთები ავრცელებენ ხუთი უცნაური განკურნების ამბავს, რომელსაც მამა ანდრეას ლოცვებს მიაწერენ. ათასობით გაჭირვებული იდგა დღისით და ღამით მის კარებთან. მამა ანდრეა თავისი ლოცვით მიანდობდა ყველა თანამოძმეს წმიდა იოსებს. იგი, ზეთის ლამპრით ხელში, მხურვალედ ლოცულობდა წმიდანის ქანდაკების წინაშე. 1894 წელს მამა ანდრეამ თავისი უფროსებისაგან თანხმობა მიიღო, რომ ქ. მონრეალის ახლოს, პატარა ხის სამლოცველ-

ლო აეგო წმ. იოსების სახელზე; სამლოცველო 1904 წელს გაიხსნა და მრავალი მომლოცველის სამიზნედ იქცა. 1905 წლის ზაფხულში, მამა ანდრეას მთლიანად გადააბარეს სამლოცველო. გამრავლდა სასწაულებრივი განკურნებებისა და ქრისტეს რწმენაზე მოქცევის ფაქტები, რის გამოც მას „ტრავმატოლოგი“ შეარქვეს. სამლოცველო მორწმუნეთა თავშეყრის ადგილად იქცა, მათ აქ მამა ანდრეას ქარიზმა იზიდავდა. მის სამოციქულო საქმიანობაზე ზეგავლენას ვერ ახდენდა საეკლესიო თუ საერო ხელისუფლება.

1917 წლის დეკემბერში, ეკლესიის ქვემოთ, პატარა კელია გახსნეს და საკურთხევლის ქვაც აკურთხეს; მრავალი დაბრკოლების შემდეგ, წმიდა იოსების სახელზე აგებული ტაძარი ყველაზე დიდი წმიდა სავანე გახდა. ამ დიდი ტაძრის აგება 1955 წლის 15 მაისს დასრულდა, მაგრამ მ. ანდრეა ვერ მოესწრო მის დასრულებას, რადგანაც იგი 1937 წლის 6 იანვარს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი ეროვნულ გლოვად გადაიქცა. 1951 წლიდან დაიწყო მისი კანონიზაციის პროცესი, ხოლო 1982 წლის 23 მაისს იგი ნეტარად შერაცხა პაპმა იოანე პავლე II-მ.

იულია სალძანო GIULIA SALZANO (1846-1929). მას შემდეგ, რაც პირველად ნაპოლეონის ბრძანებით, ხოლო შემდეგ იტალიის ახალი სამეფოს პარლამენტის მიერ რვაასიან წლებში რელიგიური ორდენები გააუქმეს, ხელახლა დაიწყეს აღორძინება იმავე ორდენებმა და ახალმა რელიგიურმა კონგრეგაციებმა.

ამ პროცესმა მთელი იტალია მოიცვა, განსაკუთრებით ნეაპოლი, სადაც უკვე არსებობდა გასაოცარი ფენომენი ე.წ. „სახლის ბერმონაზვნობის“ ფორმით: ღვთივშეწირული ადამიანები, რომელთა მოღვაწეობის არე არ სცილდებოდა საკუთარი სახლისა თუ უბნის ფარგლებს, ისინი იქ ლოცულობდნენ, შრომობდნენ და იტანჯებოდნენ; სახარებას, უპირველესად, საკუთარი წმიდა ცხოვრებით ამოწმებდნენ, ასევე, სხვათა დახმარებით, სწავლებით, ობოლთა, სნეულთა და გაჭირვებულთა შეწევნით, მოკლედ, ყველა მათგანისადმი თანადგომით, ვისაც ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკურ ორომტრიალში სულიერი და ფიზიკური თანადგომა სჭირდებოდა.

ასე, გასაოცარი ლილიებივით აღმოცენდნენ კონგრეგაციები და ფონდები, რომელთა საქმიანობამ ჩვენამდეც მოაღწია. მათგან რამდენიმეს ჩამოვთვლით: მხევალი ღვთისა გელტრუდა გომეს დე არშე, წმ. გელტრუდას ბენედიქტელი დების კონგრეგაციის დამფუძნებელი; მხევალი ღვთისა მარია მაგდალენა სტარაჩე, ღვთისმშობლის მოწყალე მსახურთა დების კონგრეგაციის დამფუძნებელი; ნეტარი კატერინა ვოლპიჩელი, წმიდა გულის მხევალთა კონგრეგაციის დამფუძნებელი; მხევალი ღვთისა კლავდია რუსო, მონახულების მდაბალ ქალწულთა კონგრეგაციის დამფუძნებელი; მხევალი ღვთისა მარია კონსილია სულიწმიდისა, დამფუძნებელი მგლოვიარე მარიამის მსახურ დათა კონგრეგაციისა; ნეტარი მარია კრისტინა ბრანდო, იესო ქრისტეს საიდუმლოების გამომსყიდველი მსხვერპლის დათა კონგრეგაციის დამფუძნებელი; და მრავალი სხვა. ამ არასრულ სიას დავამატებდით ნეტარ იულია სალძანოს. იგი დაიბადა სანტა მარია ვეტერეში, 1846 წლის 13 ოქტომბერს, 19 წლის ასაკში, ნეაპოლთან ახლოს, კაზორიაში გადავიდა და მთელი შემდგომი ცხოვრება იქ გაატარა. ის, ფერდინანდ I-ის არმიის მსახურის, გემის კაპიტნის, დიეგო სალძანოსა და ადელაიდა ვალენტინოს, მეექვსე შვილი იყო ოჯახში. მამით ადრე დაობლდა და იგი კაზერტაში, წმ. ნიკოლას ობოლ ბავშვთა თავშესაფარში მიაბარეს. ოჯახს თხუთმეტი წლის ასაკში დაუბრუნდა, მას შემდეგ რაც სწავლა დაასრულა და მასწავლებლის დიპლომი აიღო. 1865 წლის ოქტომბერში კაზორიაში გადადის და საჯარო სკოლის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. ამავდროულად, იგი თავისი სახლის ეზოში შეკრებილ პატარებს რწმენის საფუძვლებზეც ესაუბრება.

ამ პერიოდში კარდინალი სისტო რიარიო დაუკავშირდა ნეტარ კატერინა ვოლპიჩელს, რათა კაზორიაში გაევრცელებინა წმიდა გულის მხევალთა კონგრეგაციის საქმიანობა. დონა ჯულიეტამ, როგორც მას კაზორიაში ეძახდნენ, სკოლა 36 წლის ასაკში მიატოვა და სერიოზულად დაიწყო ფიქრი სასულიერო ცხოვრებაზე. ამ გზაზე მას ნეტარი ლუდოვიკო კაზორიელი და სხვა ღირსეული ღვთისმსახურნი მიუძღოდნენ. 1890 წელს, მან, დიდი ძალისხმევით, თავის ირგვლივ შემოიკრიბა მეგობარ ქალთა ერთი ჯგუფი, რომლებიც „წმ. გულის მხევალი კატეხისტი მონაზვნების“ თავდაპირველ ბირთვს შეადგენდნენ. ეს იყო კონგრეგაცია, რომლის უმთავრესი მიზანიც გახლდათ, უფლის წმიდა გულისა და ქალწული მარიამის თაყვანისცემით, ხალხამდე მიეტანათ ღვთის სიყვარული.

მალე გაჩნდა სურვილი, რომ ნეაპოლის ეპარქიაში ახლად დაარსებული სასულიერო ინსტიტუტი იულიასა და მისი მეგობრების კონგრეგაციასთან — „წმ. გულის მხევლები“ შეეერთებინათ. მაგრამ კარდინალი ჯუზეპე პრისკო დროულად ჩაერია და წაახალისა მათი კატეხისტური საქმიანობა. 1905 წლის 21 ნომბერს, იულია და მისი ექვსი მეგობარი სამონაზვნო აღთქმებს დებენ, სულ მალე მათ სხვებიც შეემატნენ და ასე გაიხსნა სხვა სახლები ნეაპოლის რეგიონში. კონგრეგაციის მოღვაწეობა, რასაც დედა იულია სალძანოს თავდავიწყებული სიყვარული ასულდგმულებდა, მართალია, ძირითადად კატეხისტურ საქმიანობაზე იყო აგებული, მაგრამ ევქარისტია და წმიდა გულისადმი თაყვანისცემა მთავარი გახლდათ.

იმ შორეულ წარსულში, დედა იულიამ აჩვენა ის სულისკვეთება და ძლიერი მუხტი, რითაც დღევანდელი ეკლესიის კატეხისტური საქმიანობაა გამსჭვალული. ყოველდღე, კვირის განმავლობაში, იგი სხვადასხვა შეხვედრებით იყო დაკავებული; როდესაც რომელიმე მონაზონი მას დაღლილსა და ღონემიხდილს დაინახავდა და შეეცდებოდა, დროებით მაინც მოეწყვიტა საქმიდან, ის მყისვე პასუხობდა, რომ, როგორც კატეხისტი, ვალდებული იყო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეკეთებინა საქმე.

1916 წელს „წმიდა გულის მხევალი კატეხისტი მონაზვნების“ კონგრეგაციამ თავისი წესდება შეიმუშავა და ეპარქიიდან მიიღო დეკრეტი მოღვაწეობის განახლების

შესახებ; 1920 წლის 12 აგვისტოს კი კონგრეგაციის წესდება რომში განიხილეს და 1960 წლის 19 მარტს პაპმა იგი ოფიციალურად სცნო. დედა იულია სალძანო გულმოდგინედ აგრძელებდა თავის სასულიერო მოღვაწეობას; მას ყველასთვის მოეძებნებოდა სანუგეშო და გამამხნევებელი სიტყვები. 83 წლის ასაკში, ვიდრე მიწიერ ცხოვრებას დაასრულებდა, მან ასამდე ბავშვი მოამზადა პირველი ზიარებისთვის. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი დევიზისა: „ვიდრე სული მიდგას, კატეხისტი ვიქნები“.

დედა იულია 1929 წლის 17 მაისს, კაზორიაში გარდაიცვალა. მისმა კონგრეგაციამ არა მხოლოდ იტალიის სხვადასხვა ქალაქში დაიმკვიდრა ადგილი, არამედ სხვა ქვეყნებშიც: კანადაში, ბრაზილიაში, ფილიპინებზე, პერუსა და ინდოეთში.

1974 წლის 4 აპრილს გამოიცა დეკრეტი დედა იულიას ნეტარად შერაცხვის შესახებ და დაიწყო განსახილველი პროცესი. 2003 წლის 27 აპრილს, იოანე პავლე II-მ წმ. პეტრეს მოედანზე, რომში, იგი ნეტარად გამოაცხადა. მასთან ერთად, ნეტარად შეირაცხა კიდევ ერთი კონგრეგაციის დამფუძნებელი მარია ქრისტინა ბრანდო, რომელიც ასევე კაზორიიდან გახლდათ. ოდესღაც ერთი პატარა სოფლის დაბა, დღეს აყვავებული ქალაქია ნეაპოლის შესასვლელთან და ამაყობს იმით, რომ მის შვილებს შორის სამი ნეტარია; ერთ-ერთი მათგანი, ლუდოვიკო კაზორიელი, 1993 წელს შეირაცხა ნეტარად.

კანდიდა მარია დე იესოსი ბარიოლა CÁNDIDA MARÍA DE JESÚS (Juana Josefa) CIPITRIA y BARRIOLA (1845-1912), იგივე ჯოვანა ჯუზეპა, დაიბადა 1845 წლის 31 მაისს ესპანეთში, გვიპუცკოას პროვინციის სოფ. ანდოანიში. 5 წლის ასაკში, ის მირონცხების საიდუმლოს ეზიარა.

1852 წელს, სამუშაოს შოვნის მიზნით, ოჯახი ტოლოზაში გადასახლდა, კანდიდამ იქ გაატარა ყრმობისა და ახალგაზრდობის წლები, მრავალშვილიან ოჯახში მისი მოვალეობა უმცროს დებზე ზრუნვა, მათთვის ლოცვისა და გალობის სწავლება იყო.

1855 წელს, ათი წლის ასაკში, მან პირველი ზიარება მიიღო. ეს იყო მისი პირველი შეხვედრა იესოსთან, რამაც მას უზომო სიხარული მიანიჭა და სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მის გარეშე ვეღარ იცხოვრებდა.

1865 წელს იგი ბურგოსში გადასახლდა და მანტოიას დიდგვაროვან ოჯახში დაიწყო სამსახური, თუმცა იქ მორწმუნისათვის არასასურველი გარემო იყო შექმნილი. მისი მოძღვარი, იეზუიტი მ. რაიმონდო სურედა, მასზე ზრუნავს და სულ მალე იგი სხვა ოჯახში, ჯუზეპე საბატერ ნორვეგესთან გადაჰყავს, რომლის მეუღლე, სათნოებით გამორჩეული ქალბატონი, სულიერ დახმარებას უწევს მას: ევქარისტიის თაყვანისცემა და ღვთისმშობლისადმი ლოცვები, გაჭირვებულთა დახმარება, მონანიება, მედიტაცია უფლის ვნებაზე.

1868 წელს იგი ვალადოლიდში გაჰყვა საბატერების ოჯახს, სადაც საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამდგარიყო ღვთის სამსახურში. ამაში მას დაეხმარა შეხვედრა მამა მიქელე ჰერანზისთან, რომელიც, 1868 წლის ესპანეთის რევოლუციის გამო, მონასტრის გარეთ, ძმის ოჯახში ცხოვრობდა. მათ შეხვედრაში განგების ხელი ერია; 1862 წელს, წმიდა ოჯახის სახელობის ეკლესიაში კანდიდას ღვთიური ზეშთაგონება ეწვია, მას ეუწყა, რომ ის იქნებოდა „იესოს ქალწულთა“ კონგრეგაციის დამაარსებელი და თავს მიუძღვნიდა აღმზრდელობითსა და საგანმანათლებლო საქმიანობას, განსაკუთრებით კი პატარა გოგონებისა და ახალგაზრდების სწავლებით იქნებოდა დაკავებული. იგივე ზეშთაგონება ეწვია მამა ჰერანზსაც, წირვის მსვლელობის დროს, და როდესაც ჯოვანამ მას ყველაფერი უამბო, მამა ჰერანზმა ყოველივე ამაში უმალ შეიცნო ღვთის ნება. ასე შეუდგა იგი ახალგაზრდა ქალბატონების, კერძოდ კი წერა-კითხვის უცოდინართა, კულტურულ და სულიერ აღზრდა-განათლებას; ზოგნი სკეპტიკურად უყურებდნენ მის ამ გულმოდგინებას, სხვები კი, მათ შორის, სალამანკას ეპისკოპოსი ხოაკინ გარიგა, მის ამ ღვაწლს ფასდაუდებლად თვლიდა ეკლესიისა და საზოგადოების წინაშე.

1871 წლის 8 დეკემბერს, მას მერე, რაც სალამანკაში სახლი დაიქირავა, ჯოვანა ჯუზეპამ, თავის ხუთ მეგობართან ერთად, დააარსა იესოს ქალწულთა კონგრეგაცია, შეიცვალა საერო სახელი და დაირქვა კანდიდა მარია იესოსი. 1873 წლის 3 აპრილს, კონგრეგაცია ოფიციალურად იქნა აღიარებული სალამანკას ზემოხსენებული ეპისკოპოსის მიერ.

1873 წლის 8 დეკემბერს, დედა-დამფუძნებელი და მისი დები რელიგიურ აღთქმებს დებენ და სალამანკაში პირველ კოლეჯს ხსნიან, რაც გაცილებით მაღალი საფეხური იყო, ვიდრე საკვირაო სკოლა. 1901 წლის 6 აგვისტოს, კონგრეგაცია აღიარა წმიდა საყდარმა; 1902 წლის 27 ოქტომბერს მიიღეს კონგრეგაციის კონსტიტუცია, რომელიც თავად დედა კანდიდამ წარადგინა რომში. დრომ აჩვენა, რომ ამ უბრალო და ლამის უწიგნური ქალბატონის ენერგიას წარმართავდა უზენაესი, რომელიც სუორა კანდიდას ძალას აძლევდა მისი სასოების გასაცხადებლად; კანდიდა მარია იესოსი დიდსულოვნებითა და სულგრძელობით იყო მინდობილი მამის ხელებს: „ჩვენი ცხოვრება ღვთის ხელშია. ჩვენ იესოს შვილები ვართ. იგი დაგვიცავს ყოველი ბოროტისაგან. ჩვენ მისი იმედი გვაქვს და არასოდეს დავრჩებით იმედგაცრუებულნი“.

მართალია, დედა კანდიდას თავისი საქმისთვის შესაბამისი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა, მაგრამ მან მაინც მყარი საფუძველი შეუქმნა ღვთის სახელის სადიდებლად მიმართულ საქმიანობას, და თავისი აღსასრულის ჟამს, რომელიც 1912 წლის 9 აგვისტოს სალამანკაში დადგა, შეძლო, შემდეგი სიტყვები წარმოეთქვა: „მშვიდად და წყნარად ვკვდები, რადგანაც ჩემი სასულიერო ცხოვრების 41 წლის მანძილზე წუთიც კი არ მახსოვს, რომ ღმრთისათვის არ მიმეძღვნას თავი“.

იგი კონგრეგაციის სახლის ეზოში დაკრძალეს, დღეს მის მიერ წამოწყებული საქმიანობა ევროპის, ამერიკისა და აზიის 12 ქვეყანაში გრძელდება. ნეტარად შერაცხვის პროცესი 1942 წელს დაიწყო; 1996 წლის 12 მაისს კი, რომში, პაპმა იოანე პავლე II-მ იგი ნეტარად გამოაცხა-

და. მისი მოხსენიების დღეა 9 აგვისტო.

ბატისტა კამილა ვარანელი (1458-1524): დიდი მეცენატის, ხელოვნებისა და იარაღის დიდი მოყვარულის, შესანიშნავი დიპლომატის, მტერთა რისხვისა და ქალთა გულთამპყრობელის, პრინც იულიო ცეზარე ვარანელის ქალიშვილი. პრინცი ოცი წლის ასაკში დაქორწინდა თორმეტი წლის იოანაზე, რომინელი, კეთილშობილური წარმოშობის, დიდგვაროვანი ოჯახის ქალიშვილზე, ვისგანაც სამი შვილი შეეძინა, მაგრამ მას, მათ გარდა, ხუთი უკანონო შვილიც ჰყავდა, რომლებიც სხვა სასიყვარულო კავშირების შედეგად შეეძინა, ისინი კანონიერ შვილებთან ერთად იღებდნენ აღზრდა-განათლებას. კამილა 1458 წლის 9 აპრილს დაიბადა და ყველაზე უფროსი იყო შვილებს შორის. იგი მამისეულ სასახლეში იზრდებოდა და მისნაირი მებრძოლი ხასიათი გამოჰყვა. როგორც თავის ავტობიოგრაფიაში წერს, მას იტაცებდა ცეკვა, სიმღერა, უყვარდა გართობა და დროსტარება.

ბატისტა კამილამ ჯერ კიდევ ბავშვობაში დადო აღთქმა, მას მერე, რაც ფრანცისკელი მღვდლის ქადაგებას მოუსმინა, და ყოველ პარასკევს, უფლის ვნების მოგონებისას, ცრემლებს ღვრიდა. თუმცა ეს ყოველივე მის მხიარულ და უდარდელ ცხოვრებასთან რატომღაც ვერ თავსდებოდა. ამიტომ, როდესაც უფლის ვნების მოგონება მასში ცრემლებს ვერ იწვევდა, ის მთელი კვირა თავს ცუდად გრძნობდა. ახალგაზრდობაში მან ბევრი საეკლესიო წიგნი წაიკითხა და უკვე ადვილად ეძლეოდა სინანულს, რაც ხშირად ახლობელთა ქილიკს იწვევდა. თვრამეტი წლისა უკვე იწყებს ფიქრს რელიგიურ ცხოვრებაზე, მაგრამ ორჭოფობს, რადგანაც მას ამქვეყნიური ცხოვრებაც იზიდავს. როგორც იქნა, ცდუნებები დაძლია და არჩევანი მონასტერზე შეაჩერა. აქ კი მამა აღუდგა წინ მის გადაწყვეტილებას.

გადატანილი განცდების გამო, კამილა შვიდი თვის მანძილზე უღონოდ გრძნობდა თავს. ორი წლის მერე მას ზეციური შთაგონება ეწვია; იგი უკვე სულიერად მომწიფებული იყო ქრისტეს გზაზე შესადგომად. საბოლოოდ, პრინციც დაჰყვა ქალიშვილის ნებას და 1481 წლის 14 ნოემბერს იგი, კამილა სუორა ბატისტას სახელით, მონაზვნად აღიკვეცა ურბინოს წმ. კლარას ფრანცისკელთა მონასტერში. მამამისი, პრინცი, ვერ ეგუებოდა შვილის შორს ყოფნას, ამიტომ მან შეიძინა ოლივეტანის მონასტერი და იგი ფრანცისკელებს გადასცა წმ. კლარას მონაზონთათვის.

სუორა ბატისტა ერთ-ერთი ახლად არჩეული იყო ცხრა მონაზონს შორის. 1484 წლის 4 იანვარს მან, ხალხისა და პრინცის ამალის თანდასწრებით, მონასტრის კარი შეაღო.

აქედან დაიწყო მისი გატაცება მისტიციზმით, ქრისტეს ვნება კვლავაც ასულდგმულებდა მას, განსაკუთრებით მისი ადამიანურ-ღვთაებრივი, დაწყლულებული გული. საკუთარი მისტიკური აზრები მან თავის წიგნში — „იესოს მენტალური ტკივილი მისი ვნების ჟამს“ ჩამოაყალიბა, რომელიც მომავალი დიდი წმიდანებისთვის მედიტაციის სახელმძღვანელოდ იქცა. 1502 წელს ცეზარე ბორჯია, „ვალენტინოს გრაფი“, შეეცადა, ადგილობრივი საგრაფოები გაეერთიანებინა და მთელი ტერიტორია პონტიფექსის მფლობელობაში მოექცია, გაეძლიერებინა პაპის, ალექსანდრე VI-ის უფლებები, რის გამოც ძალითაც კი უტევდა ადგილობრივ ურჩ საგრაფოებს. პრინცმა ვარანელმა საიმედოდ გადამალა თავისი უმცროსი ვაჟიშვილი ვენეციაში, დანარჩენ შვილებთან ერთად კი კამერინოს ამბოხებისთვის ემზადებოდა. სუორა ბატისტა, თავის სულიერ დებთან ერთად, ჯერ ფერმოში გაიქცა, ხოლო შემდეგ ნეაპოლის სამეფოში, ატრიში გადავიდა, სადაც მიაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ ცეზარე ბორჯიამ წამებით მოკლა მამამისი, შემდეგ კი მის ძმებს გაუსწორდა. როდესაც ბორჯიას თავაშვებულ საქმეებს წერტილი დაესვა, სუორა ბატისტა კამერინოში დაბრუნდა, დაიბრუნა საგრაფო ვარანაში, და, თავის ძმასთან ერთად, იქვე დარჩა სიკვდილამდე, როგორც აბატისა. იგი ყველასთვის, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთათვის, დიდ იმედად და ნუგეშად იქცა. კამილა ბატისტა გარდაიცვალა კამერინოში, 1524 წლის 31 მაისს, ჭირის ეპიდემიის დროს, დაკრძალეს მამისეულ სასახლეში.

პაპმა გრიგორ XVI-მ, 1843 წლის 7 აპრილს, კამილა ბატისტა ნეტარად შერაცხა, ხოლო 2010 წლის 17 ოქტომბერს, პაპ ბენედიქტე XVI-ის მიერ მისი კანონიზება მოხდა.

მარია ჯვრისა (მარი ჰელენი) მაკკილოპი MacKILLOP (1842-1909). იგი დაიბადა მელბურნში (ავსტრალიაში), 1842 წელს. მისი ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, პირიქით, განსაცდელებით იყო სავსე, მაგრამ იგი სიმამაცითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა, რამაც გააძლებინა კიდეც მძიმე წუთებში. ვიდრე ოცი წლისა გახდებოდა, მარიამ უკვე იცოდა, რომ ღმერთი იხმობდა მას. თავისი მოწოდება მან სულ რაღაც ოთხ წელიწადში სრულიად გააცნობიერა. მოწოდება კი ასეთი გახლდათ: ავსტრალიის სამხრეთში გაჭირვებულთათვის სკოლის გახსნა. ასე იქცა იგი „ წმ. იოსების წმიდა გულის დების კონგრეგაციის დამფუძნებლად. მას დიდ სიამოვნებასა და სიხარულს ანიჭებდა საეკლესიო საქმიანობა, ასევე სიხარულით ხვდებოდა ყველა გასაჭირს, რომელსაც სწირავდა ღმერთს, რომლის ერთგულიც ის სიცოცხლის ბოლომდე (1909 წ.) დარჩა. იოანე პავლე II-მ 1995 წელს, სიდნეიში, იგი ნეტარად გამოაცხადა.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

„გიხაროდეს, ეს შენი ქართული ეკლესიაა“...



ფერიქოის წმ. მარიამის სახელობის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მოლოცვა ყველა ქართველი კათოლიკეს ოცნებაა.

შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მე ეს ოცნება ავიხდინე და 2 იანვარს ფეხი შევდგი ქართველი ერისთვის უძვირფასეს სავანეში. ქართული ტრადიციის თანახმად, 2 იანვარი ბედობის დღეა, დაე, ამ წმიდა მონასტერს დაებედოს ქართველ მომლოცველთა ხშირი სტუმრობა.

სტამბულში 2 იანვარს, კვირა დილით ჩავფრინდი. ჩემთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო, რომ ეკლესია, სადაც მეგობრებთან ერთად წირვაზე დასასწრებად მივედი, ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი აღმოჩნდა. შემდეგ გაირკვა, რომ ეს წინასწარ იყო დაგეგმილი ჩემი მეგობრების მიერ.

1861 წელს მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უბანში, ფერიქოიში წმიდა მარიამის ქართველ კათოლიკეთა სავანე-ეკლესია, დედათა და მამათა მონასტრები დააფუძნა. იგი გარდაიცვალა 1890 წლის 9 ოქტომბერს, დასაფლავებულია ეკლესიის ეზოში, მისი გული კი შენახულია სპეციალურ სპირტიან ქილაში. მამა პეტრემ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე დააწესებინა, ნებართვა კი რომის პაპისგან მიიღო. მისი ანდერძის თანახმად, სავანის ტერიტორია კათოლიკე მრევლის საკუთრება გახდა.

ფერიქოის ქართული ეკლესია არა მარტო სალოცავ ადგილს წარმოადგენდა, არამედ ქართული კულტურის კერაც იყო. მონასტრის ბაზაზე არსებობდა ბიბლიოთეკა, სტამბა, სადაც იბეჭდებოდა წიგნები ქართულ, იტალიურ, ფრანგულ ენებზე; სასწავლებელი, კლუბი, სადაც იმართებოდა პოეზიის საღამოები, შეხვედრები, რომელსაც 150-მდე ქართველი ესწრებოდა. ბიბლიოთეკის შენარჩუნების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის პავლე ზაზაძის ოჯახს, პავლე თავად განაგებდა აკაკი წერეთლის სახელობის მდიდარ ბიბლიოთეკას, უმძიმესი წნეხის პირობებში ინარჩუნებდა ტაძარს, სიწმინდეებს, სტამბოლის ცენტრალურ, ევროპულ ნაწილში არსებულ ვრცელ მიწას. მამის ანდერძისამებრ, 1989 წლიდან მისი შვილი — სიმონ ზაზაძე ემსახურება ამ წმინდა საქმეს.

ფერიქოის სავანე ქართველთათვის მშობლიური კერა და თავშესაფარი იყო. მას თავს აფარებდა 1921 წელს რუსული ოკუპაციის გამო დევნილი მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ჟორდანია და მთავრობის ზოგიერთი წევრი.

გული სიამაყით ამევსო, როდესაც მონასტრის ეზოს მთავარ ჭიშკართან წავიკითხე თურქული წარწერა: „ნოტრე დამ ლურდი – ქართული კათოლიკური მონასტერი.“ მონასტრის ბაღი საკმაოდ კარგად არის მოვლილი, აქვე დგას მარიამ ღვთისმშობლის დიდებული ქანდაკება, რომლის მადლი ფარავს ამ წმინდა ადგილს. ეკლესიის შესასვლელთან, სტენდზე, სამ ენაზე — ქართულად, ინგლისურად და თურქულად დაწერილია მონასტრის ისტორია.

როდესაც ეკლესიაში შევედით, წირვა თურქულ ენაზე ახალი დაწყებული იყო, მას ამავე ეკლესიის წინამძღვარი, დონ ფელიჩე აღავლენდა. ტაძარი სავსე იყო მლოცველებით. მეგობრებმა, წირვის დროს, ერთ მინისტრანტზე მიმანიშნეს და მითხრეს, დააკვირდი ამ ბავშვს, წირვის დასასრულს შეგახვედრებთო. წირვის დასრულების შემდეგ, კელიაში შევედით, სადაც მოძღვარს გავესაუბრეთ. ალბათ, სიკვდილამდე მემახსოვრება დონ ფელიჩეს სიტყვები: „გიხაროდეს, ეს შენი ქართული ეკლესიაა“. თვალები სიხარულის ცრემლებით ამევსო, თუმცა კულმინაცია, ალბათ, მაინც ის იყო, როდესაც ზემოთ ხსენებული 12 წლის მინისტრანტი ქართველი აღმოჩნდა, რომელიც იქვე, ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდა დედასთან და დასთან ერთად.

ეკლესიაში ლოცვის, მისი საგულდაგულოდ დათვალიერების, მოძღვართან ფოტოების გადაღებისა და მრევლთან საუბრის შემდეგ, წასვლის დროც დადგა. ყველა ხერხი ვცადე, რათა დრო გამეხანგრძლივებინა, რათა უფრო დიდხანს დავრჩენილიყავი იქ. ქართველი მინისტრანტის ოჯახმა თავისთან მიმიპატიჟა, თუმცა, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სტუმრობა ვერ მოვახერხეთ. მაგრამ სტამბულში შემდეგი ვიზიტისას, მათ აუცილებლად ვესტუმრები ქართული ძღვენით.

„ნოტრე დამ ლურდში“ წირვა მხოლოდ თურქულ ენაზე აღევლინება (იქაური ქართველების თხოვნით, რადგანაც, ქართულის გარდა, მათ მხოლოდ თურქული იციან). გვჯერა, ჩვენი ოცნება, ამ მონასტერში ქართულენოვანი წირვების აღდგენისა, ხორცს შეისხამს და ტაძარს კვლავ დაუბრუნდება ქართული დიდება. დაე, ეს ტაძარი გახდეს ქართველ ქრისტიანთა ერთიანობის საწყისი.

შოთა კუკულაძე

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

8. ვინ იყო იესოსათვის მარიამ მაგდალელი?

მარიამ მაგდალელი იესო ქრისტეს მოწაფე იყო. მისგან უფალმა შვიდი დემონი გამოდევნა. ამას გარდა, იგი იდგა ჯვრის ქვეშ მარიამთან, იესოს დედასთან, ერთად. დაბოლოს, მარიამ მაგდალელი მოხსენიებულია როგორც პირველი ადამიანი, რომელიც პასექის გარიჟრაჟზე აღმდგარ უფალს ხვდება. ამ მონაცემთა გარდა, ბიბლიაში ან საღმრთო გადმოცემაში ისეთი არაფერია ნათქვამი, ნაჩვენები ან ნაგულისხმები, რაც იესოსა და მარიამის რამე სხვაგვარ ურთიერთობას მიანიშნებდეს.

შეთქმულების თეორიათა მოყვარულებს შესაძლოა ხიბლავდეს სხვადასხვა თქმულებები, რომლებიც გვხვდება იმგვარ რომანებში, როგორიცაა დენ ბრაუნის „და ვინჩის კოდექსი“, სადაც ავტორი ამტკიცებს, თითქოს იესოს და მარიამს შეექმნათ ერთობლივი ოჯახი (თუმცა სახარებებიდან ცნობილია, რომ იესო არასოდეს ყოფილა დაქორწინებული). მწერალი ამ შემთხვევაში ეყრდნობა სათუო წარმოშობის, არამართლმორწმუნე სახარებებს, მათ შორის, გნოსტიკურ საფუძველზე შექმნილ მარიამის სახარებასა და ფილიპესა და თომას აპოკრიფულ სახარებებს. ეს წყაროები არა მხოლოდ არაბიბლიური და არაღმრთივშთაგონებულია, არამედ შეთხზულია გარკვეული მიზანდასახულობით იესოს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომიდან (და, შესაბამისად, მარიამ მაგდალელის სიკვდილიდან) სამი საუკუნის შემდეგ. კიდევ მეტი, ის ცნობები, რომლებითაც რომანისტი სარგებლობს, ამოგლეჯილია კონტექსტიდან.

თავად ეს წყაროებიც ნათლად არაფერს აცხადებს რამე გამორჩეული ურთიერთობის შესახებ იესოსა და მარიამს შორის. „ხოლო მეგობარი [...] მარიამ მაგდალელის [...] მას უფრო მეტად, ვიდრე [...] მოწაფეებს [...] ეამბორა [...] მას [...] მის შესახებ [...]“, — წერია ფილიპეს აპოკრიფულ სახარებაში. ამ თხზულების ერთადერთი ხელნაწერი მეტად ფრაგმენტულია, ხოლო ზოგიერთ ადგილას კი ტექსტი ან ბუნდოვნად, ან საერთოდ არ იკითხება (ამგვარი ადგილები ზემორე აღნიშნული კვადრატული ფრჩხილებითაა). ბერძნულად ის სიტყვა, რომლითაც ტექსტში

წმიდა ვალენტინო

წმ. ვალენტინო, იგივე ვალენტინო ტერნელი (ტერნი, იტალია), ეპისკოპოსი და წამებული ქრისტიანი გახლდათ; წმიდანად შერაცხულ იქნა კათოლიკე, მართლმადიდებელი და, მოგვიანებით, ანგლიკანური ეკლესიის მიერ, მიჩნეულია შეყვარებულთა მფარველად.

უძველესი ისტორიული წყარო, რომელიც გვაწვდის ცნობებს წმ. ვალენტინოს შესახებ, V-VI ს-ის ეკლესიის ოფიციალური დოკუმენტია, სადაც საუბარია მისი სიკვდილის წლისთავზე. VIII ს-ის სხვადასხვა დოკუმენტი გვამცნობს რამდენიმე დეტალს მის მოწამებრივ სიკვდილზე: წამება, თავის მოკვეთა და დასაფლავება.

წმიდა ვალენტინოს ცხოვრება

ვალენტინო პატრიციების ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. ქრისტიანად მოქცეული, სულ რაღაც 25 წლის ასაკში, 197 წელს, ტერნის ეპისკოპოსად აკურთხეს. 270 წელს ვალენტინო, ორატორის, კრატონის მიწვევით, სახარების საქადაგებლად და წარმართების მოსაქცევად, რომში ჩადის. იმპერატორმა კლავდიუს II-მ მას რელიგიური მსახურების შეწყვეტა და ქრისტიანობისგან განდგომა მოსთხოვა, რაზედაც უარი მიიღო; უფრო მეტიც, ვალენტინომ თვით იმპერატორს შესთავაზა გაქრისტიანება. კლავდიუს II-მ იგი შეიწყალა.

ვალენტინო, უკვე მეორედ, კლავდიუსის მემკვიდრის, აურელიანოს მმართველობისას დაიჭირეს. რომაელმა ჯარისკაცებმა იგი ქალაქგარეთ, ფლამინიას ქუჩაზე გაიყვანეს გასაშოლტად, ვინაიდან შეეშინდათ, ქალაქში მის მომხრეებს ამბოხება არ მოეწყოთ, რადგანაც ვალენტინოს მიმდევრების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

აურელიანოს ბრძანებით, ვალენტინო აწამეს 273 წლის 14 თებერვალს, 98 წლის ასაკში. იგი ფლამინიას ქუჩაზე, ნეკროპოლთან ახლოს, ტერნის ბორცვზე დაკრძალეს. IV ს-ში ამ ადგილზე ბაზილიკა ააგეს, სადაც დაცულია წმიდანის რელიქვიები. როგორც ირკვევა, რელიქვიები ქალაქში ფილოსოფოს კრატონის მოწაფეებმა – აპოლონიომ, ეფებომ და პროკურომ ჩამოიტანეს; სამივე მათგანი მომავალმა წმიდანმა მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, რის გამო მათაც მოწამებრივი გზით დაასრულეს სიცოცხლე.

წმიდა ვალენტინოს დღესასწაული – შეყვარებულთა ზეიმი

წმ. ვალენტინოს პიროვნება ასოცირდება რომანტიკულ სიყვარულთან და შეყვარებულებთან, მაგრამ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ რად მიაწერენ მას ყოველივე ამას. არსებობს რამდენიმე ლეგენდა:

1. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, იმპერატორმა კლავდიუსმა ქორწინება აკრძალა იმ მიზეზით, რომ დაუქორწინებელი მამაკაცები კარგი ჯარისკაცები იქნებოდნენ. ამ დეკრეტის მიუხედავად, ახალგაზრდა მღვდელი ვალენტინო მალულად სწერდა ჯვარს ახალგაზრდა წყვილებს. როდესაც ეს ამბავი იმპერატორმა შეიტყო, ვალენტინო დააპატიმრა. საპატიმროში მას ციხის ზედამხედველის ბრმა ქალიშვილი შეუყვარდა, რომელიც განკურნა.

2. ცნობილია ის ფაქტი, რომ 496 წელს, პაპმა გელასიომ გააუქმა ლუპერკალიის (ლათ. Lupercalia=ძველ რომში: დღესასწაული ლუპერკუსის (Lupercus — ღმერთ ფავნის ერთ-ერთი მეტსახელი) სადიდებლად) რომაული დღესასწაული და 14 თებერვალი გამოაცხადა წმ. ვალენტინოს დღედ, იმ მიზნით რომ ქრისტიანული სული ჩაედო მასში.

ძველი რომაელებისთვის თებერვალში იწყებოდა ბუნების გამოღვიძება და გაზაფხულისთვის მზადება (ანუ ახლად შობის სეზონი). თებერვალში სრულდებოდა განწმენდის რიტუალი: სახლებს ასუფთავებდნენ, მასში მარილსა და განსაკუთრებულ ფქვილს მიმოაბნევდნენ. თვის შუა რიცხვებში კი იწყებოდა ლუპერკალის (ღვთაება, რომელიც დახნულ-დათესილი მინდვრებისგან მგლებს განარიდებდა) მსახურება. ლუპერიკები, ამ კულტის მსახურებისთვის საგანგებოდ მომზადებული მღვდლები, მსხვერპლშეწირვას აღასრულებდნენ გამოქვაბულში, სადაც, ლეგენდის თანახმად, ძუ მგელმა რომულისა და რემის ანოვა ძუძუ. მაშინდელი რომაელი ახალგაზრდებისთვის ნამდვილი „ზეიმი“ იყო სიყვარულის

ლატარეა: ურნაში იყრებოდა და ერთმანეთში ირეოდა ფურცლები, ქალებისა და მამაკაცების სახელებით, შემდეგ რომელიმე ბავშვი ამოიღებდა ფურცლებს და რომელი ქალისა და მამაკაცის სახელიც ამოვიდოდა პირველად, ისინი დაწყვილდებოდნენ და მთელ წელს ერთმანეთის გვერდით გატარებდნენ, ვიდრე ნაყოფიერების რიტუალი არ დასრულდებოდა. მომდევნო წელს უკვე სხვა წყვილი განაგრძობდა ამ რიტუალს.

3. ეს დღე შეყვარებულების დღედ ითვლებოდა და ყველა ზეიმობდა. მთელ მსოფლიოში შეყვარებულები სასიყვარულო ბარათებსა და საჩუქრებს უცვლიდნენ ერთმანეთს. ამ დღესასწაულის შესახებ უტყუარი ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეზისი სან ვალენტინოს, ანუ შეყვარებულთა დღესასწაულის შესახებ, ინგლისელ პოეტს, ჯეფრი ჩოსერს (1343-1400) უნდა მიეწეროს, რომელიც თავის პოემაში „ჩიტების პარლამენტი“ ამ დღესასწაულს რიჩარდ II ინგლისელისა და ანა ბოემის დანიშვნას უკავშირებს. თუმცა ზოგიერთი ეჭვქვეშ აყენებს ამგვარ ინტერპრეტაციას. სხვა ისტორიული წყაროები ამ ზეიმს პარიზში, 1400 წლის 14 თებერვალს, „სიყვარულის უზენაესი სასამართლოს“ დაარსებას უკავშირებენ, რომელიც სამეფო კარის სიყვარულის პრინციპებით მოქმედებდა. სასამართლო მიზნად ისახავდა, განაჩენი გამოეტანა სასიყვარულო კონტრაქტებზე, ღალატზე და ქალთა ძალადობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე. მსაჯულთა შერჩევა სასიყვარულო პოეზიისადმი მათი დამოკიდებულების საფუძველზე ხდებოდა.

ანგლოსაქსურ ქვეყნებში, და სხვაგანაც, სან ვალენტინოს დღესასწაულისთვის ყველაზე დამახასიათებელი გახლდათ „ვალენტინები“, ანუ სასიყვარულო ბარათების (გულის, მტრედის, კუპიდონის ისრით და სხვა) ერთმანეთში გაცვლა. ყველაზე ძველი ბარათი XV საუკუნით თარიღდება, რომელიც კარლ ორლეანმა მისწერა თავის მეუღლეს 1415 წელს: „მე უკვე დავსნეულდი სიყვარულით, ჩემო ტკბილო ვალენტინო.“

5. ანგლოსაქსურ ქვეყნებში „ვალენტინების“ გაგზავნა XIX ს-დან ტრადიციად იქცა. ამ დროიდან აშშ-ში რამდენიმე საქმოსანი იწყებს წმიდა ვალენტინოს ბარათების გამოშვებას. სწორედ მისალოცი ბარათების ფართოდ წარმოებამ შეუქმნა ამ დღესასწაულს კომერციული სახე. XX საუკუნეში ბარათები უკვე ინტენსიურად იწარმოება, განსაკუთრებით აშშ-ში. მოგვიანებით, ბარათებთან ერთად აგზავნიან საჩუქრებს: შოკოლადებს, ყვავილებს, საიუველირო ნაწარმს. Greeting Card Association-მა დაადგინა, რომ ყოველწლიურად, 14 თებერვალს იგზავნება დაახლოებით მილიარდამდე მისალოცი ბარათი, რაც, გაგზავნილი საშობაო ბარათების რაოდენობასთან შედარებით, მეორე ადგილზეა.

ლეგენდა წმიდა ვალენტინოზე

ისტორიული ფაქტები წმ. ვალენტინოს შესახებ არაერთგვაროვანია, მასზე მრავალი ლეგენდა არსებობს, რომელიც უკვე ხალხური ტრადიციის ნაწილად იქცა, მაგრამ ამ ლეგენდებს საფუძვლად შეიძლება ნამდვილი ამბებიც ედოს; ისე, ყველა ფაქტი სასიყვარულო ეპიზოდს ეხება.

ლეგენდა ამაღლებულ სიყვარულზე

ეს ლეგენდა ახალგაზრდა ჭაბუკ საბინოზე, რომაელ ასისთავზე მოგვითხრობს; ერთხელ, ტერნის მოედანზე სეირნობისას, მან მშვენიერი ქალწული, სერაპია შენიშნა და მაშინვე შეუყვარდა იგი. საბინომ სერაპიას მშობლებს მისი ხელი სთხოვა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო: საბინო წარმართი იყო, ხოლო სერაპია — ქრისტიანი. ეს დაბრკოლება რომ გადაელახა, სერაპიამ თავის შეყვარებულს ურჩია, წასულიყო ეპისკოპოს ვალენტინოსთან და მონათლულიყო, მერე კი საკუთარი ოჯახის წევრებისთვისაც გაეცნო ეს რელიგია. სიყ-

▶ 14 გვ.

„მეგობარია“ აღნიშნული, არის „კოინონოს“, ხოლო „მეუღლე“ ბერძნულად არის „გინე“, — სიტყვა, რომელიც ამ ადგილას არაა გამოყენებული. წმიდა პავლე სარგებლობს სიტყვით „კოინონოს“, როცა თავის მეგობარსა და თანამოღვაწეს, ტიტეს, სწორედ ამგვარად უწოდებს (2 კორ. 8:23). წმიდა ლუკა იყენებს იმავე სიტყვას თავის სახარებაში, როცა მოიხსენიებს იაკობსა და იოანეს როგორც სიმონის (შემდგომში — პეტრეს) მეგობრებსა და თანამოსაქმეებს.

არსებობს სხვა აპოკრიფული მონაცემებიც მარიამ მაგდალელის შესახებ. „სიმონ პეტრემ უთხრა მათ [მოწაფეებს]: „დაე, მარიამმა დაგვტოვოს ჩვენ, რადგან ქალნი არ არიან ღირსნი ცხოვრებისა“. იესომ კი თქვა: „მე თავად გავუძღვები მას, რათა ვაქციო მამაკაცად, რითაც იგიც შეძლებს ცოცხალ სულად ქცევას, რადგან თქვენი, მამაკაცების, მსგავსი გახდეს. ყოველი ქალი, რომელიც გადაიქცევა მამაკაცად, შევა ცათა სასუფეველში“„, — ნათქვამია თომას აპოკრიფულ სახარებაში. გნოსტიკოსებს ჰქონდათ უცნაური წარმოდგენა, რომ მხოლოდ მამაკაცებს ძალუძთ სასუფევლის მოპოვება. ამდენად, მარიამ მაგდალელიც უნდა ქცეულიყო მამაკაცად ხნის მოსაპოვებლად, როგორც თომას გნოსტიკური სახარების მოყვანილი ნაწყვეტი ამტკიცებს. აშკარაა, რომ ეს წყარო სანდო არაა არანაირი თვალსაზრისით.

მარიამ მაგდალელის გნოსტიკური სახარება, საერთოდ, არაფერს ამბობს იესოსა და მარიამის რამე განსაკუთრებული ურთიერთობების და, მით უმეტეს, მათი ქორწინების შესახებ. ის გადმოგვცემს დაპირისპირებას პეტრესა და მარიამს შორის იმის გამო, თუ ვის უნდა ჰქონდეს ძალაუფლება ეკლესიაში. ეს ტექსტი, ამავე დროს, მიანიშნებს იდუმალი ცოდნის შესახებ (ეს ხომ გნოსტიციზმის „ამოსაცნობი ნიშანია“!), რომელიც იესომ თითქოსდა გადასცა მარიამ მაგდალელს, მაგრამ არ გაუმხილა სიმონ პეტრეს. ეს საიდუმლო კი ისაა, რომ სხეული ბოროტია, ხოლო სული კი — კეთილი. ეს არის სუფთა გნოსტიციზმი და სუფთა ერესი! თუკი სხეული მართლაც ბოროტი იყო, მაშინ იესოს მონაწილეობა მიუღია ბოროტში, რადგანაც იგი განხორციელდა და მან მიიღო ადამიანური ბუნება, რაც ადამიანურ სხეულსაც მოიცავდა. ეს თვალსაზრისი კი მკვეთრად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რაც სწამს ქრისტიანობას.

მასალა მოამზადა

მერაბ ღაღანიძემ

ვარულის გამო, საბინო ასეც მოიქცა. სამწუხაროდ, როდესაც ნათლობისთვის ემზადებოდნენ, სერაპია ტიფით დაავადდა. ვალენტინო მომაკვდავი ქალწულის სასთუმალთან მიიხმეს. საბინომ სერაპიას სთხოვა, უარი არ ეთქვა მათ სიყვარულზე, მის გარეშე მას სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვად ექცეოდა. ვალენტინომ მონათლა ჭაბუკი და ჯვარიც დასწერა შეყვარებულებს, აკურთხა მათი სიყვარული და ეს ორი გული სამარადისოდ შეუერთა ერთმანეთს.

ლეგენდა შემარიგებელ ვარდზე

ერთ დღეს, წმიდა ვალენტინომ, თავისი ბაღის გარეთ, ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი დაინახა, რომლებიც ცხარედ კამათობდნენ. მან გადაწყვიტა, სურნელოვანი ვარდით ხელში შეხვედროდა მათ. ვალენტინომ საჩუქრად ვარდი გაუნოდა წყვილს და სთხოვა, რომ მისი ტოტისთვის ფრთხილად მოეკიდათ ხელი და შერიგებოდნენ ერთმანეთს, შემდეგ უფალს მათი სიყვარულის მარადიულობა შესთხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, წყვილი მასთან დაბრუნდა და ჯვრისწერის კურთხევა სთხოვა. ეს ამბავი მალე გავრცელდა და ტერნის მცხოვრებნი ეპისკოპოსთან ყოველი თვის 14 რიცხვში მიდიოდნენ, რათა ისინი დაელოცა. ასე იქცა ყოველი თვის 14 რიცხვი კურთხევის დღედ, მაგრამ ეს თარიღი შემდეგ მხოლოდ თებერვალზე შეჩერდა, რადგანაც სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა წმიდა ვალენტინო (273წ).

ლეგენდა ბავშვებზე

წმ. ვალენტინოს დიდი ბაღი ჰქონდა, სადაც ნაირ-ნაირი ლამაზი ყვავილი ხარობდა; იგი პატარებს ამ ბაღში თამაშის ნებას რთავდა. მზის ჩასვლისას, ბაღში ჩასულ ვალენტინოს ბავშვები გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე ყიჟინით, ისიც დალოცავდა მათ და ყოველ მათგანს ერთ ლამაზ ყვავილს ჩუქნიდა, თან არიგებდა, რომ ყვავილი დედისთვის მიეტანა, ნიშნად მშობლების მიმართ პატივისცემისა და სიყვარულისა. ამბობენ, რომ სწორედ აქედან მომდინარეობს საყვარელი ადამიანებისთვის საჩუქრის მიძღვნის ტრადიცია.

ლეგენდა მტრედებზე

მღვდელი ვალენტინო თავის დიდსა და ლამაზ ბაღში მოცალეობის ჟამს თავად უვლიდა ყველაფერს. ერთ დღეს, ჯარისკაცები მოვიდნენ და ვალენტინო დაიჭირეს, მეფემ მას უვადო პატიმრობა მიუსაჯა. ეს რომ ბავშვებმა გაიგეს, ბევრი იტირეს. ვალენტინოც ციხეში სულ მათზე ფიქრობდა და იმაზეც, რომ მათ სათამაშოდ აღარ ექნებოდათ უსაფრთხო ადგილი. მაშინ ყველაფერზე უფალმა იზრუნა: ვალენტინოს ბაღში დაცული გალიიდან ორი პატარა მტრედი გამოაპარა, რომლებმაც, იდუმალი ინსტინქტის ძალით, მიაგნეს სატუსაღოს, სადაც მათი პატრონი იყო ჩაკეტილი. მტრედები საკნის გისოსებზე ჩამოსხდნენ და ხმამაღლა ღუღუნს მოჰყვნენ. ვალენტინომ იცნო ისინი, ხელში აიყვანა და მოეფერა. შემდეგ ერთ მათგანს კისერზე პატარა გული ჩამოჰკიდა, რომელშიც ბარათი იყო ჩადებული, ხოლო მეორეს — პატარა გასაღები. ბავშვებმა დიდი სიხარულით მიიღეს უკან დაბრუნებული მტრედები, გასაღებიც მაშინვე იცნეს... ის ხომ ვალენტინოს ბაღისა იყო. ბარათში კი ეწერა: *„ჩემს საყვარელ პატარებს. თქვენი ვალენტინო“.*

ითვლება თუ არა დღესაც ვალენტინო შეყვარებულთა მფარველად?

ვალენტინო, რომლის შესახებაც მწირი ისტორიული ცნობები და მრავალი ლეგენდა მოგვეპოვება, ადამიანთა ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარესთან ასოცირდება, როგორიც სიყვარულია, ის შეყვარებულთა მფარველად იქცა. საინტერესოა, რატომ დარჩა ეს წმინდანი დღესაც შეყვარებულთა და დანიშნულთა მფარველად? თუმცა, თავისი კომერციული ასპექტის გამო, ეს დღესასწაული წარმართულ სახეს ღებულობს, რის გამოც ზოგიერთი ეკლესია მას არ აღიარებს.

მფარველობა ნიშნავს დახმარებას, სიახლოვის საჭიროებას, რადგან ადამიანი თავად ვერ წყვეტს პრობლემებს; ვინმემ შეიძლება თქვას, რომ სულაც არ სჭირდება მფარველი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეყვარებულია. მაშ, ისიც ვიკითხოთ, რა საჭიროა ნათლია, მეჯვარე ან მეგობარი, ვისაც გულისნადებს გაუმხელ... რატომ გვჭირდება ზოგჯერ ცხოვრებაში შუამავალი, მედიატორი... ქორწინება ხომ ხშირად ორ პირს შორის მესამის ჩარევითა და დახმარებით დგება... მფარველის ყოლის აუცილებლობა იმაზე მეტყველებს, რომ ეს ფენომენი იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი თავისადმი ნდობის გამოცხადება.

ევედრებიან დღეს შეყვარებულები წმიდა ვალენტინოს? იქნებ, ახალ მფარველს ელოდებიან;

დღეს ახალგაზრდა წყვილები სრულიად მოუმზადებლად, ოჯახის, ეკლესიის დაუხმარებლად იღებენ თავიანთი სიყვარულის პირველ გამოცდილებას. ხდება პირიქითაც, ისინი დამოკიდებულნი არიან ოჯახზე, რაც მათ არჩევანის გაკეთების საშუალებას უზღუდავს: თუნდაც სარწმუნოებრივი სხვაობა, ან შვილოსნობის საკითხი...; არის შემთხვევები, როდესაც წყვილი მუდმივად „შეყვარებულის“ პოზიციაზე რჩება და მანამდე ახერხებს თანაცხოვრებას, სანამ ამის სურვილი არსებობს...; ვინ იქცევა ამგვარ სიტუაციებში უფრო გონივრულად? რთულია პასუხის გაცემა. ერთი რამ კი ცხადია, არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს ცოლქმრული ცხოვრებისთვის მზადების პროცესი, პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახური მოწოდების წინაშე.

საკითხავია, იქნებ, შეყვარებულ წყვილებს მფარველზე მეტად სჭირდებათ ვინმე, მოდელი, მისაბაძი მაგალითი? როგორ უნდა შეარჩიონ შესაბამისი მოდელი, ვინ უნდა იყოს იგი? მომღერალი, ფეხბურთელი, მეგობარი, რომელიმე ოჯახი? იქნებ, ტრადიცია? ნუთუ საკმარისია პირველივე ნახვით შეყვარება, რომ მეუღლე, ან მშობელი გახდე?

დასაფასებელია არა მხოლოდ ფიზიკური და სექსუალური სიმწიფე, არამედ ფსიქოლოგიური, ემოციური. ცოლქმრული სიყვარული არ ჰგავს მეგობრებს ან დანიშნულებს შორის სიყვარულს; იგი გამოირჩევა თავისი სიმწიფით, რაც პიროვნებას სტაბილური და თავისუფალი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებს, ერთგული და ერთადერთი სიყვარულით ახალი სიცოცხლის მისაღებად იხმობს. განა შეიძლება, ყველაფერი ეს მოსთხოვო 17-18 წლის ახალგაზრდას? თუმცა ეს რეალობაა; ასეთ შემთხვევაში, რას მოვიმკით რამდენიმე წლის შემდეგ? რასაკვირველია, ეს წყვილები ცოლქმრული ცხოვრებით იცხოვრებენ, მაგრამ მოხდება კი პიროვნების თვითრეალიზება? ხომ არ მიიღებენ იმ უმწიფარი არჩევანის შედეგს, რისთვისაც მზად არ იყვნენ? რა როლი ეკისრება ოჯახს, მშობლებს?

მრავალი მშობელი უფრო მეტად ართულებს ვითარებას, ვიდრე იღებს მომხდარ ფაქტს. როგორ რეაგირებენ ეკლესიები ამგვარ ფაქტებზე? ამზადებენ ახალგაზრდა თაობას მანამ, სანამ ისინი ქორწინების, ცოლქმრული ცხოვრების, მშობლებად გახდომის არჩევანს გააკეთებენ, თუ ბედის ანაბარად ტოვებენ მათ? დღესასწაული, რომელიც შეყვარებულებს მფარველს სთავაზობს, აუცილებლად ბადებს ამ შეკითხვას: რას ნიშნავს შეყვარებულობის და ნიშნობის პერიოდი? რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული?

ამასთან დაკავშირებით, შემიძლია, ორი კრიტერიუმი გამოვყო. შეყვარებულობის ხანაში პიროვნება ახლად იბადება. ამ დროს ვაანალიზებთ და განვსჯით წარსულს, უკუვაგდებთ მას, რასაც შეცდომად ჩავთვლით და ვეძებთ საკუთარ გამოუხატავ მხარეებს, ჩვენს რეალურ სურვილებს, მას, რასაც ვუღალატეთ, უარვყავით, უყურადღებოდ დავტოვეთ. ამგვარ ძიებას ჭეშმარიტების სული აღძრავს. არ გვსურს და არ შეგვიძლია ვიცრუოთ. ის განცდები, რაც შეყვარებულობის ხანას ახლავს, ფსიქოლოგთა მიერ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამიტომაც, არავის დაუდგენია მისი მორალური შედეგები: სიმართლის, სიწრფელის, შინაგანი განწმენდის ღრმა სურვილი ამ დროს დევიზად იქცევა.

მახსენდება ალბერტო ბევილაქვას „ხალიფი“ (la Califfa), იგი მოგვითხრობს შეყვარებულ მამაკაცზე, რომელმაც სიმდიდრე და ძალაუფლება თაღლითობით მოიხვეჭა. შეყვარებულობის პერიოდში იგი მიხვდება, რომ უღალატა საკუთარ ღირებულებებს, მეგობრებს. პირველად დაინახავს გარშემომყოფთ ისეთებად, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან: პარაზიტები, ორპირები, თაღლითები. შეამჩნევს, რომ ყალბსა და ურწმუნო ცხოვრებაში ჩაიძირა და უარყოფს მას. ავტორი წერს: „დიახ, იგი მართლაც თავიდან იშვა, მისი შეცდომები უკან დარჩა... სინათლეში წამოდგა ფეხზე, უკვე განკითხული, მსუბუქი, თავისუფალი“. სწორედ თავიდან ფეხზე დადგომა და ყველაფრის თავიდან დაწყება არის ჭეშმარიტი სიყვარულის შეუდარებელი ნიშანი.

მეორე, ასევე ძვირფასი ნიშანი, გახლავთ საკრალურობა. შეყვარებულობის ხანაში, ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი ნიშნები საკრალურ სახეს იძენს: თუნდაც ერთად ვახშმობა, ან რომელიმე პანორამით ერთად ტკბობა, ან სულაც საყვარელი არსების მოლოდინი. აქ ყველა ჟესტი თავის რიგით მნიშვნელობას კარგავს და უჩვეულოდ იქცევა, რაღაც სასწაულის მსგავსად, რის წინაშეც სულგანაბული, განცვიფრებული და მადლიერი რჩები, ანუ იგი იღებს ღვთიური სულით გაჯერებულ „საკრამენტის“ ხასიათს. სქესობრივი აქტი, მისი მომზადება, დაახლოება, საყვარელი ადამიანის სხეულის აღმოჩენა და შემდეგ მასში შეღწევა, ყველაფერი ეს ნამდვილი წმინდა რიტუალია, რადგანაც მისი სხეული, ვინც გვიყვარს, საკრალურია. თვით ყველაზე მწველი სურვილიც კი გაჯერებულია მოწიწებით, ტკბობით, თრთოლვით, პატივისცემით. ამ დროს ყველაფერი სახეს იცვლის: ადამიანები ლამაზები, თავაზიანები ჩანან, სახლები, ბუნება — გასაოცარი. ვგრძნობთ, რომ პოზიტიურნი ვხდებით, უზენაესის სუნთქვა გვაცოცხლებს. როდესაც გვიყვარს, ჩვენ სამყაროს სუნთქვაში ვიჭრებით, მისი ჰარმონიისა და მიზნის ნაწილი ვხდებით. ყველაფერი ეს ნამდვილი სიყვარულის ნიშნებია; ისინი ზოგჯერ მყისვე ჩნდებიან, ზოგჯერ კი — გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ ყოველთვის არსებობენ.

მოამზადა მ. გაბრიელე ბრაგანტინიმ

ქრისტიანული ოჯახი

„რა არის მადლი?“

წყვილების შეხვედრა ორპირში

ქუთაისის კათოლიკური საკრებულოს წყვილებმა გადაწყიტეს, 2009 წლის ბოლო შეხვედრა ორპირის სახლში მოეწყოთ. მიუხედავად იმისა რომ დეკემბერი იყო, ზამთრის მზე თბილად აცხუნებდა.

ყველასთვის წინასწარ ცნობილმა და მისაღებმა დღის განრიგმა შეხვედრა მეტად საინტერესო გახადა. ადვენტი: მოლოდინის, იმედის, სიფხიზლის ჟამი, — აი თემა, რომლის ირგვლივ საუბარმა ერთად შეგვკრიბა, დაგვაკავშირა, გაგვაერთიანა და მართლაც უდიდესი მოლოდინით აგვავსო და დაგვაფიქრა ადვენტზე, რაც, კერძოდ, ადამიანთა ფიქრებსა და ოცნებებში ხსნასთან ასოცირდება.

ხსნა მადლია, ხსნა მომავალია, ხსნა ფხიზლად ყოფნაა. ადვენტი სიახლის მომტანი, ღმერთის ქმედების მადლიერი ჭვრეტისა და მიღების ჟამია; ადვენტი ბედნიერად ყოფნის სურვილია და ჩვენც ამისთვის ვართ შექმნილნი; ადვენტი ფხიზლად ყოფნის დროა და ჩვენც, ჩვენს მიერ გაღებული სიყვარულით განვისჯებით.

ამიტომ ყველამ ერთმანეთს და საკუთარ თავს ვუსურვეთ, მთელი ჩვენი ცხოვრება ყოფილიყო ადვენტის დიდი მოლოდინის ჟამი.

ჩვენში განსაკუთრებით დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კითხვამ: „რა არის მადლი?“ აზრი ორი მიმართულებით გაიყო: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ მადლი ღვთიურია, მეორენი კი — თუმცა ამას აღიარებდნენ, მადლის წყაროდ მაინც ადამიანურ სიკეთეს მიიჩნევდნენ.

დასახელებული იქნა უამრავი მაგალითი ადამიანური მადლისა, ადამიანთა საქციელი უმეტეს შემთხვევაში გმირობის ტოლფასიც კი იყო. მაგრამ, საბოლოოდ, მამა გაბრიელე ბრაგანტინის მიერ „მადლის“ თეოლოგიური კუთხით გაშუქების შემდეგ, ყველა შეთანხმდა, რომ მადლი ღვთიურია, ღვთის მიერ ადამიანთათვის უშურველად გაღებული, მერე კი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, ვინ რა დოზით შეძლებს მის მიღებას და, შესაბამისად, გაცემას.

და ჩვენც, ამ მადლით აღვსილებმა, ხმა შევუერთეთ საერთო ლოცვას, რომელიც სამლოცველოში მამა გაბრიელესთან და სუორა ანა მარიასთან ერთად აღვავლინეთ და ერთად ყოფნის სიხარული გავიზიარეთ.

მერე კი დრო ფილმის ჩვენებას დაეთმო. სპეციალურად შერჩეულმა ფილმმა ვიზუალური ეფექტებითა და გამიზნული მიზანსცენით აუდიტორიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და ყველა ღრმად ჩააფიქრა.

დასასრულს, ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა (თინიკომ) თავისი აზრი ფილმის შესახებ ასე ჩამოაყალიბა: „სტივენ კინგის სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი, მიუხედავად მძაფრი სიუჟეტისა, მეტად სათუთ გრძნობებს ეხება. ცოლ-ქმარი, რომლებმაც შვილის დაღუპვა ძალზე მძიმედ განიცადეს, ვერაფრით შეეგუენ რეალობას და შეეცადნენ, გაქცეოდნენ მას. მხოლოდ თავსგადახდენილი პარანორმალური მოვლენების შემდეგ აღდგება მათ ქვეცნობიერში დალექილი სათუთი ცოლ-ქმრული კონტაქტები, და მიუხედავად უდიდესი განსაცდელისა, წყვილი კვლავ ახერხებს ურთიერთობისა და სიცოცხლის გაგრძელებას.

დღე საზეიმო ვახშმით დასრულდა; იყო სიურპრიზები — საახალწლოდ ყველა წყვილმა მიიღო სიმბოლურად გულის ფორმის მისალოცი ბარათი ლოცვის ტექსტით: „მაღალო და მოწყალეო ღმერთო, მოამზადე შენი ძალით ჩვენი გული, რათა მივიღოთ ქრისტე, რომელიც მოდის“.

ნინო ჟღენტი

ლოცვა საქართველოში ქრისტიანთა ერთობისათვის 2011

„მადლი თქვენ და მშვიდობა...“ (1. თეს. 1:1)

საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს ტრადიაცია ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიძღვნილი ეკუმენური ლოცვისა. საქართველოშიც დამკვიდრდა ეს ტრადიცია, გაფართოვდა ქრისტიანთა ერთობის მოსურნეთა რიცხვი და, ყოველი წლის იანვრის თვეში, ერთობლივად აღასრულებენ ეკუმენურ ლოცვებს ოთხი ეკლესიის (კათოლიკე, ლუთერული, სომხური და ბაპტისტური) წევრები. 2011 წელს, ამ ლოცვისადმი მიძღვნილი შეხვედრის მასპინძელი საქართველოში მოქმედი ლუთერული ეკლესია გახლდათ.

21 იანვარს, თბილისის შერიგების ევანგელურ-ლუთერულ ტაძარში ჩატარდა მორიგი შეხვედრა, ეკუმენურ ლოცვაში მონაწილე ეკლესიების მრევლისა და მღვდელმსახურების მონაწილეობით.

წლევანდელი ეკუმენური ლოცვები იერუსალიმელი ქრისტიანების მიერ მომზადდა. ამ სამზადისში იერუსალიმის ლათინური წესის პატრიარქი, იორდანიის ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი, იერუსალიმის ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლები და ასირიულ-მართლმადიდებლური ეკლესიის წევრები მონაწილეობდნენ. ეკუმენური ლოცვის კვირეულის მთავარ თემად შეირჩა ეპიზოდი მოციქულთა საქმეებიდან: „და იყვნენ ისინი გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, თანამოზიარობაში, პურის გატეხასა და ლოცვებში“ (2,42).

თბილისის შერიგების ლუთერულ ტაძარში მსახურება მასპინძელი ეკლესიის მღვდელმთავარმა, ეპისკოპოსმა ჰანს-იოახიმ კინდერლენმა გახსნა მოკლე მიმართვით; შემდგომ მისალმების ლოცვები მორიგეობით წაიკითხეს: კათოლიკე ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, ბაპტისტური ეკლესიის პრეზიდეტმა, ეპისკოპოსმა მერაბ გაფრინდაშვილმა, საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის მღვდელმთავარმა, ეპისკოპოსმა ვაზგენ მირზახანიანმა. მოკლე ლოცვებს მსახურებაში მონაწილე ოთხი ეკლესიის მგალობელთა გუნდების საგალობლები აგვირგვინებდა.

შესავალი ლოცვების შემდგომ, ღვთის სიტყვის ლიტურგია აღესრულა. ქართულ, გერმანულ, სომხურ, ინგლისურ ენებზე წაკითხულ იქნა შესაბამისი საკითხავები. სახარების საკითხავი მათეს წერილიდან საქართველოში ვატიკანის ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ წაიკითხა, რის შემდეგ ეპიკოპოსმა ჰანს-იოახიმ კიდერლენმა მოკლე ქადაგებით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას. შემდგომ იყო ტრადიციული მშვიდობის მისალმება, საუფლო ლოცვა და ეპისკოპოსთა კურთხევა. ერთიანობის ლოცვა, როგორც აღვნიშნეთ, იერუსალიმში მომზადდა, ამიტომ აქცენტები იერუსალიმზე და სხვადასხვა ეთნოსებისა და რელიგიების წარმომადგენელთა შორის მშვიდობიან თანაარსებობაზე იყო გაკეთებული. თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს ფრაგმენტი ერთიანობის ლოცვიდან, რომელიც ოთხი ეკლესიის მღვდელმთავართა მიერ იქნა წაკითხული: „ქრისტეში სამყარო ღმერთს შეურიგდა. მან შერიგების გზავნილი გაგვიზიარა. როგორც ღვთის შენდობის დესპანები, შევთხოვთ ღმერთს: ჩვენ, განსხვავებული ტრადიციების წარმომადგენლები, ერთად ვლოცულობთ. წმინდაო, რომელიც გვაერთიანებ, ცხადყავი ჩვენი ერთობა. ერთად ვკითხულობთ ბიბლიას სხვადასხვა ენებისა და გარემოს წარმომადგენლები. განმცხადებელო, რომელიც გვაერთიანებ, ცხადყავი ჩვენი ერთობა და ხსნა მოგვიტანე. თუ ებრაელებს, ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის მეგობრობის ხიდებს გავდებთ, გულგრილობისა და სიძულვილის კედლებს დავამსხვრევთ, გულმოწყალეო, ცხადყავი ჩვენი ერთობა და ხსნა მოგვიტანე.“

ერთობის ლოცვის შემდეგ, საშუალება მოგვეცა, გავსაუბრებოდით ეკუმენურ ლოცვაში მონაწილე მღვდელმსახურებს. გთავაზობთ მოკლე ამონარიდს ამ საუბრებიდან.

მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი: მე ხშირად მიწევს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა, და ამიტომ მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მივიღე მონაწილეობა თბილისში აღვლენილ ერთობის ლოცვებში. ისე, ყოველთვის ვმონაწილეობ ეკუმენურ ლოცვებში. დამერწმუნეთ, ამ ლოცვებს, ისევე როგორც ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიმართულ აქტიობებს, დიდი პერსპექტივა აქვთ.

ეპისკოპოსი ჰანს-იოახიმ კიდერლენი: მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი საერთო ლოცვები ძალიან მნიშვნელოვანია. უკვე მესამე წელია, საქართველოში ვიმყოფები და ვმონაწილეობ ეკუმენურ ლოცვებში, პირველად — ბაპტისტებთან, შარშან — სომხურ ეკლესიაში, ახლა უკვე ჩვენი მასპინძლობის ჯერი გახლდათ. შარშან ხელისუფლების მრავალი წარმომადგენელი ესწრებოდა ლოცვას, სამწუხაროდ, წელს ვერავინ ვნახე სახელისუფლებო წრეებიდან, არც დიპლომატიური კორპუსიდან, თუმცა, მათ გავუგზავნეთ მოსაწვევები.

დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ლოცვას აქვს დიდი ძალა და, კონკრეტულად, ეკუმენურ ლოცვასაც აქვს პერსპექტივა.

ეპისკოპოსი მერაბ გაფრინდაშვილი: შეიძლება ითქვას, რომ რაღაც ყინული დაიძრა ჩვენს ქვეყანაში, მე მხედველობაში მაქვს საქართველოს პრეზიდენტის უკვე მეორე ვიზიტი კათოლიკურ ეკლესიაში, ასევე, სომხურ ეკლესიაში. ეს იყო ძალიან კარგი ჟესტი და, პრეზიდენტის მხრიდან, ძალიან კარგი ნაბიჯი... ცოტა გაუგებარია, რატომ არიდებენ თავს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები ამგვარ ღონისძიებებზე დასწრებას. მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა მაგალითი მისცა, არავის უნდა ეძნელებოდეს დასწრება სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა შეხვედრებზე. სამწუხაროა, რომ მასმედიის წარმომადგენლები არ იყვნენ. აბა, როგორ უნდა დაამსხვრიო სტერეოტიპები, თუ მედიამ არ გააშუქა მსგავსი შეხვედრები. რაც შეეხება სხვა პროტესტანტული დენომინაციების მონაწილეობას, ჩვენ შეტყობინება გავუგზავნეთ მათ, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. ისე კი, ჩვენი მთავარეპისკოპოსის, ბატონ მალხაზ სონღულაშვილის არყოფნა ძალიან აკლია ეკუმენურ შეხვედრებსაც და ჩვენს ეკლესიასაც.

მ. პიერ დიუმულენი: როდესაც ადამიანების ერთიანობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავმიჯნოთ არსი, თუ რას ემსახურება ეს ერთიანობა. თუ ეს ერთიანობა არის თვითმიზანი და ადამიანური ამბიციის გამოვლინება, როგორიც იყო ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას, ეს არ არის კარგი. მაგრამ თუ არის ერთიანობა იესო ქრისტეში, ანუ სულიწმიდის ერთიანობა, ეს სულ სხვაა. სული წმიდით აღვსილი მოციქულები ამოწმებდნენ სახარებას და სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანები იგებდნენ მათ სიტყვას, ეს არის ქრისტიანული ერთიანობა. ეკუმენური ლოცვაც ასეა, მისი მიზანი ქრისტიანთა შორის ურთიერთგაგების დამყარებაა. აბა, რას ჰგავს, როდესაც პალესტინაში მცხოვრები არაქრისტიანები ხედავენ, თუ როგორ ცალ-ცალკე არიან იქაური ქრისტიანები: კათოლიკეები, მარონიტები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები... რა მაგალითს ვაძლევთ მათ ჩვენი გათიშულობით? ეკუმენიზმი არ ნიშნავს, რომ ყველა კონფესია მექანიკურად უნდა გაერთიანდეს, მაგრამ ეს არის ერთიანობა და სიყვარული ქრისტეში. ეს არ არის ბაბილონის გოდოლი, ეს არის სულთმოფენობის ერთიანობა.

მ. არტური: მრავალგზის მიმიღია მონაწილეობა პოლონეთში აღვლენილ ერთიანობის ლოცვებში; უნდა გითხრათ, რომ მართლმადიდებელთა ეპისკოპოსი ყოველთვის ესწრებოდა ამ ლოცვებს, რომელიც კათოლიკურ ტაძრებში იმართებოდა, და ქადაგებდა კათოლიკე ეპისკოპოსთან ერთად. სხვადასხვა დენომინაციის პროტესტანტებიც სისტემატურად მონაწილეობენ ერთიანობის ლოცვებში. ის რომ მართლმადიდებლები, კათოლიკეები და პროტესტანტები ერთად ლოცულობდნენ, პოლონეთში არ წარმოადგენს არანაირ პრობლემას. პირიქით, მათი თანამშრომლობა საკმაოდ მყარი და მრავალმხრივია (ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში — ნ. ბ.).

აქ, მართლაც შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ მ. არტურს; პოლონეთში მოღვაწეობდა ქართველი წმინდანი მ. გრიგოლ ფერაძე და ვარშავაში მის სახელზე ტაძარიც არის აღმართული, სადაც კათოლიკეები და მართლმადიდებლები ერთად მიაგებენ პატივს ამ წმინდანს, რომელიც სწორედ ქრისტიანთა ერთიანობის დამცველს წარმოადგენდა თავისი პიროვნული მრწამსით. წმ. გრიგოლ ფერაძის სწავლებისა და პოზიციის ღრმად გაგება, ალბათ, მეტად სასიკეთო იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელსაც ევროკავშირში ცხოვრება ძალიანაც სურს, მაგრამ თანამედროვე ევროპულ ფასეულობათა აღიარება, ცოტა არ იყოს, უჭირს. ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვები კი სწორედ გზაა ამ ევროპული ერთიანობისაკენ, სადაც ყველა ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას, მაგრამ, ამავე დროს, ერთი საზოგადოების ნაწილია.

ნუგზარ ბარდაველიძე

ინტერვიუ

მასნავლებელთა მასნავლებელი

ქუთაისში მოღვაწე უხუცესმა მწერალმა და მეცნიერმა, ფილოსოფიის პროფესორმა, ბატონმა სიმონ არველაძემ გამოსაცემად მოამზადა ახალი წიგნი — „ღირსეულ ქუთათურთა სილუეტები“. წიგნის მეორე თავში, რუბრიკით — „ღვაწლმოსილი პედაგოგები და მეცნიერები“, ავტორი მკითხველს სთავაზობს ივანე ვარლამიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სტატიას — „უჩრდილო კაცი“.

ჩვენი სურვილია, გავიხსენოთ ქუთაისში მოღვაწე კათოლიკე, შესანიშნავი პიროვნება და აღმზრდელი ივანე ვარლამიშვილი, რისთვისაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ მის ქალიშვილს, ქუთაისის 41-ე საშუალო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ნატა ვარლამიშვილს.

ნინო ჟღენტი

ქალბატონო ნატა, ვფიქრობთ, „განებივრებული“ ხართ ისეთი მამის შვილობით, როგორიც ბატონი ვანო იყო. თუ შეიძლება, გვიამბეთ მის შესახებ.

მამა 1917 წლის 7 იანვარს, ქ. ქუთაისში, ფინანსისტ გრიგოლ ვარლამიშვილისა და ევგენია მირაქოვას ოჯახში დაიბადა.

1924 წელს, პატარა ვანო დაწყებითი განათლების მისაღებად პირველ შვიდწლიან შრომის სკოლაში მიაბარეს. 1933 წელს მან რკინიგზის სამშენებლო სასწავლებელი დაამთავრა. ამავე წელს მამა ჩაირიცხა აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1937 წელს დაამთავრა.

იშვიათაია სახალხო განათლებისა თუ კულტურის სფერო, სადაც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. იგი წლების მანძილზე მუშაობდა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, განათლების განყოფილების ინსპექტორად, მეთოდისტად, მე-19 სკოლის დირექტორად, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის გამგედ, მეთოდისტად. კითხულობდა ქართული ენის მეთოდიკის კურსს პედაგოგიურ ინსტიტუტში. შვიდი წლის განმავლობაში მამა იყო გაზეთ „განათლების“ კორესპონდენტი, ბოლო წლებში კი მუშაობდა ქუთაისის მერიაში სტილისტად.

მამის დამსახურებაზე მეტყველებს წლების განმავლობაში მიღებული ჯილდოები და ქუთაისის საპატიო მოქალაქის მაღალი წოდება. მას, როგორც მოქალაქეს, პედაგოგს, აფასებდნენ, როგორც „უჩრდილო პიროვნებას“ და თბილი სიტყვითაც მოიხსენიებდნენ ბატონები: მ. ალავიძე, ავთ. ნიკოლეიშვილი, ვ. ჯავახაძე. ქ-ნი ლილი ნუცუბიძე კი წერდა: „მე ვამაყობ, რომ ქუთაისელი ვარ და ბატონი ვანო ჩემი ცხოვრების მასწავლებელია“.

რას იხსენებდა ბატონი ვანო ქუთაისის კათოლიკური ტაძრის შესახებ?

იგი ნამდვილი კათოლიკე იყო. მამიდამისი მართა ვარლამიშვილი ცოლად ჰყავდა XX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის უკეთილშობილესი მოძღვრის, დონ დამიანე სააკაშვილის ძმას — კოზმას. ოჯახი ყოველ კვირა დღეს სიხარულით მიდიოდა წირვაზე, სადაც ბაბუაჩემი ხშირად პირველი ვიოლინოს პარტიას ასრულებდა. მამა ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა უგანათლებულეს მოძღვართან დაუვიწყარ შეხვედრებს.

რას გვიამბობდით ქუთაისელი კათოლიკეების შესახებ და როგორი იყო ბატონ ივანეს განცდა, როდესაც, 1994 წელს, იტალიიდან მღვდელ-მონაზვნები ჩამოვიდნენ?

მამაჩემისთვის პრესით თუ ტელევიზიით გახმოვანებული ინფორმაცია კათოლიკური ეკლესიის შესახებ ყოველთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო. „ჩვენი ეკლესია“, — ამას ისეთი სიყვარულითა და სიამაყით იტყოდა ხოლმე, რომ მსმენელი იმწამსვე ხვდებოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ის მისთვის. ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარულით შეხვდებოდა „თავის“ მღვდლებსა და მონაზვნებს, რომელნიც არანაკლები სითბოთი შეეგებნენ მას.

ქუთაისელმა კათოლიკეებმა ამაგდარ პიროვნებას 80 წლის იუბილე აღუნიშნეს. ამ ღონისძიებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ (იმჟამად ქუთაისის ეკლესიის მოძღვარმა) და მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ.

მამამ ახლად აღორძინებულ ქუთაისის ეკლესიას და მის მოძღვრებს გადასცა ოჯახში წლების მანძილზე დიდი სიყვარულით დაცული საეკლესიო ნივთები, მათ შორის, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული იოსებ კონკონეს მესა, რომელიც ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში სრულდებოდა.

ბატონ ივანეს განგებამ ორ გენიოსთან უახლოესი ნათესაობა არგუნა წილად...

დიახ, მამა ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, ჰყავდა სახელოვან და გამოჩენილ ადამიანთა საკმაოდ ფართო წრე. ფელიქს ვარლა (ვარლამიშვილი), ქართველი ემიგრანტი, მსოფლიოში ცნობილი მხატვარი, მისი უფროსი ძმა იყო. დიდი ქართველი კომპოზიტორი — ზაქარია ფალიაშვილი კი — ბებიას მკვიდრი დეიდაშვილი გახლდათ.

▶ 18 გვ.

პედაგოგების მხრივაც განსაკუთრებით გაუმართლა, ლექციებს უკითხავდნენ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერები: კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, მიხეილ ზანდუკელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი და სხვ.

მამათქვენი ძველი ქუთათური კათოლიკური ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილი, პედაგოგიური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. თქვენც და თქვენმა დამაც (აწ გარდაცვლილი მარინე ვარლამიშვილი) პროფესიად პედაგოგობა აირჩიეთ. გქონიათ თუ არა რაიმე ინციდენტი, როგორც საქართველოში რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელს?

გული დამწყვეტია, როდესაც მოაზროვნე ადამიანისაგან მიგრძვნია უარყოფითი დამოკიდებულება ქართველ კათოლიკეთა მიმართ, ახსნა კი ერთი და ცალსახა ყოფილა: რადგან საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, ყველა ქართველი მართლმადიდებელი უნდა იყოს.

რას უსურვებდით ჩვენს ქალაქს, საკრებულოს, საკუთარ თავს, და რას ისურვებდით უკვე აღიარებული მამის, ბატონი ივანეს სახელის უკვდავსაყოფად?

ჩვენს ქალაქს ვუსურვებ, ღირსეული სიტყვა ეთქვას 21-ე საუკუნის საქართველოს ისტორიაში; ჩვენს საკრებულოს — სიძლიერესა და რწმენის სიმტკიცეს.

რაც შეეხება მამასთან დაკავშირებულ სურვილებს, მინდა, ქუთაისელმა მკითხველმა, ათწლიანი ლოდინის შემდეგ, მიიღოს წიგნი მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის გამოცემაც მისი ყოფილი მოწაფეების, ალ. შენგელიასა და დიტო ხურცილავას უდროო გარდაცვალებამ შეაფერხა. ვფიქრობ, მამის ღვაწლი და ამაგი ჩვენი ქალაქის ისტორიაში, გულისხმიერი ადამიანების თანადგომით, სათანადოდ იქნება დაფასებული.

იუბილარები

საყვარელო მამა პიეს, გილოცავთ 50 წლის იუბილეს. ღმერთმა მოგანიჭოთ თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების მადლიერებითა და სიყვარულით სავსე ცხოვრება, ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე.

ძვირფასო მამა ღუიჯი, გილოცავთ 80 წლის იუბილეს. გისურვებთ ღვთის მფარველობას, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. დაე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყოთ ისეთივე მხნე და ენერგიული, როგორც დღეს.

„საბას“ რედაქცია

განახლებული კომისიის პირველი შეხვედრა

ხანგრძლივი პაუზის შემდგომ, კვლავ განაახლა თავისი საქმიანობა კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულმა კულტურისა და ეკუმენიზმის (ეკლესიათაშორისი ურთიერთობების) კომისიამ. აღნიშნული კომისია წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ეპისკოპოსის კურიაში და საკმაოდ ნაყოფიერ და, ამასთანვე, საზოგადოების მხრიდან დაუფასებელ საქმესაც ახორციელებდა. დაუფასებელს იმიტომ რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა უმრავლესობას, მათი არაინფორმირებულობის, ან უფრო ხშირად მავანთა მიერ შეგნებულად დამახინჯებული ინფორმაციის გამო, ეკუმენიზმზე ჯერ კიდევ მეტად მწირი და, აქედან გამომდინარე, საკმაოდ აგრესიული დამოკიდებულება აქვს. არადა საქართველოში მოქმედი ეკლესიები საკმაოდ ინტენსიურად თანამშრომლობენ კათოლიკე ეკლესიასთან, სასულიერო პირები იღებენ მისგან სოლიდურ მხარდაჭერასა და სხვადასხვა დახმარებასაც, ხშირად სტუმრობენ იტალიასა და ვატიკანს, მაგრამ რიგით მრევლს უმალავენ ამ კონტაქტების შესახებ. საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესია მუდამ იყო და არის მომხრე ეკლესიათაშორისი თანამშრომლობის გასაჯაროებისა და გაღრმავებისა. ქრისტიანები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს პროზელიტიზმს და ერთ კონფესიად მექანიკურ გარდაქმნას. ამგვარი უნდობლობის გარემოცვაში, ეკუმენიზმის კომისიას, რომლის მიზანი მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობა და ურთიერთობის ნორმალიზებაა, უჭირს თავისი მიზნების განხორციელება.

კათოლიკე ეკლესიისათვის 2011 წლის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქრისტიანულ კონფესიებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათ შორის არსებული უნდობლობის აღმოფხვრაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კულტურისა და ეკუმნიზმის კომისიის საქმიანობაც.

ყოველ ორგანიზაციას, რაც არ უნდა წარმატებული იყოს იგი, პერიოდულად სჭირდება განახლება. სწორედ ამგვარი განახლება განიცადა კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიამ გასულ წელს და 2011 წლის 12 იანვარს თავისი პირველი სხდომა ჩაატარა. მანამდე კი, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ წერილობით მიმართა კომისიის ყოველ წევრს და სთხოვა მათ, დაედასტურებინათ თავიანთი მზაობა კომისიაში თანამშრომლობის შესახებ. პირველ სხდომას უკვე განახლებული კომისიის წევრები ესწრებოდნენ.

სხდომა გახსნა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, რომელმაც განაცხადა: „ამ კომისიას ყველაზე რთული სამუშაო აქვს, კონკრეტული შედეგიც რთული მისაღწევია. დიდი რწმენითა და სასოებით უნდა მივანდოთ ღმერთს ჩვენი საქმიანობა. ეკუმენიზმს კულტურის მეშვეობით მივაღწევთ. შეიძლება საქმე წაგებულად ჩანდეს, მაგრამ ბოლოს მაინც წარმატებით დამთავრდება. შეიძლება ეს გამარჯვება ვერ დავინახოთ, მაგრამ უნდა გეწამდეს, რომ საბოლოოდ ამას მივაღწევთ. მთავარია, გვქონდეს მიზნები, გეგმა, რამდენიმე კონკრეტული თემა. უნდა ვიმუშაოთ მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა, ყველა პროექტი როდი იქნება ყველა საკრებულოსთვის გათვალისწინებული, ყველას თავისი კონკრეტული საქმე ექნება. ურთიერთობა უნდა გვქონდეს მასმედიასთან.

ცოტათი შეიცვლა დამოკიდებულება სოციალურ სფეროში, გაგვიჩნდნენ მხარდამჭერები. საზოგადოებაში არის ინტერესი და მხარდაჭერა და უნდა ვითანამშრომლოთ მასთან“.

კომისიის თავმჯდომარემ, მ. გაბრიელე ბრაგანტინიმ, თავის მოკლე მიმართვაში, კომისიის კონკრეტულ გეგმებზე ისაუბრა: ჩვენ სხვადასხვა კუთხიდან ვართ და სხვადასხვა პრობლემებს

წარმოვაჩენთ. ამჟამინდელი კომისია უფრო მცირერიცხოვანია, ამიტომ უფრო კონკრეტულად იმუშავებს. კულტურის გზით, ჩვენ ვცდილობთ, მივაღწიოთ დამოკიდებულების დათბობას ეკლესიათაშორის ურთიერთობებში. შემდგომ საუბარი კომისიის კონკრეტულ გეგმებს შეეხო 2011 წლისათვის. გადაწყდა, რომ ყოველ ორ თვეში ერთხელ გაიმართოს კომისიის სხდომები. უახლოეს ღონისძიებად კი ეკლესიათა ერთიანობისადმი მიძღვნილი საერთო ლოცვის ორგანიზებაში მონაწილეობა დაისახა. მართალია, მიმდინარე წელს ეკუმენურ ლოცვას ევანგელურ-ლუთერული ეკლესია მასპინძლობს, მაგრამ კათოლიკეთა მონაწილეობა ლოცვაში და ამ მონაწილეობისადმი დახმარების გამოჩენა სწორედ ეკუმენური კომისიის უპირველესი მოვალეობაა.

ასევე გადაწყდა, რომ 2011 წელს ჩატარდეს საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოეთიკაში, და ამ სიმპოზიუმში საქართველოს საპატრიარქოს შესაბამისი კომისიაც იქნას ჩაბმული.

კულტურისა და ეკუმენიზმის კომისიის მომდევნო შეხვედრა 1 მარტს გაიმართება.

ნუგზარ ბარდაველიძე

განუსვენე მათ, უფალო!

მარიამ ანთაძე
* 22.03.1924 წ. – ხიზაბავრა
† 13.12.2010წ. – ხიზაბავრა (ასპინძა)



ოვანეს ოვსიანი
* 06.04.1930 წ. – დაბა აშოცკი (სომხეთი)
† 03.13.2010 წ. – აბასთუმანი

ევგენია დიდიმამიშვილი
* 20.02.1928 წ. – საჩხერე ს.ორღული
† 23.11.2010 წ. – ახალციხე

ელისაბედ ხულოიანი
* 08.07.1935 წ. – ოზურგეთი
† 20.11.2010 წ. – ოზურგეთი

ტერეზა გირკიგიანი
* 22.03.1922 წ. – ოზურგეთი
† 05.01.2011 წ. – ოზურგეთი

ქრისტინა ბადოიანი
* 01.06.1926 წ. – ოზურგეთი
† 20.11.2010 წ. – ოზურგეთი

თამარ გოგონოვი
* 26.10.1924 წ. – ქუთაისი
† 2.12.2010 წ. – ქუთაისი

ნინა ჯანაშვილი
* 05.11.1937 წ. – ვალე
† 10.12.2010 წ. – ვალე

მარია ხითარიშვილი
* 30.09.1915 წ. – ვალე
† 17.12.2010 წ. – ვალე

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
ქართველ კათოლიკეთა ეკლესია უცხოეთში 11
კათოლიკური პასუხი.....12
თვის წმიდანი 12
ქრისტიანული ოჯახი 15
ეკუმენური გვერდი.....16
ინტერვიუ 17
ინფორმაცია 18
საგანგებო ჩანართი ..... I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011